

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის განცხადება

დღეს მოსალოდნელია დროგა-
მოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმარ-
თულების ქარი - 10-15 მეტრი წამ-
ში, ტემპერატურა სანაპირო რაიონე-
ბში - 13-18, მთიან რაიონებში -
10-15 გრადუსი სითბო. ზღვის წყლ-
ის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმ-
ოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი.
ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მო-
მდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნ-
აღეშო ამინდი.

მოქალაქეთა ინტერესები მაქსიმალურად აისახება სამინისტროს პროგრამებში

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიუარაძემ პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად, სამინისტროს პროგრამების შესახებ მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, მორიგი შეხვედრა გამართა ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებთან და მენეჯერებთან

კლინიკა ჩართულია სამინისტროს შემდეგ პროგრამებში - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება, სახსრების ენდოპროთეზირება, ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და ამბულატორიული მალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები.



ვიზიტის ფარგლებში მინისტრი პედატრიულ განყოფილებაში არსებულ სამედიცინო სერვისებს გაეცნო. ჩვენი შეხვედრების მიზანია როგორც სამინისტროს პრო-



გრამების შესახებ მოსაზრებების გაცვლა და პროგრამების დახვეწის მიზნით სამომავლო ხედვებზე მსჯელობა, ასევე, არსებული საჭიროებების ადგილზე გაცნობა. მსგავსი ტიპის შეხვედრებს სისტემატური ხასიათი აქვს, რათა მოქალაქეთა ინტერესები მაქსიმალურად ავსახოთ ჩვენს პროგრამებში, - აღნიშნა ნინო ნიუარაძემ.

მინისტრის თქმით, 2024 წელს 25 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, გაიზარდა თითქმის ყველა პროგრამის ბიუჯეტი და გაფართოვდება მოსარგებლე პირთა ჩამონათვალი. დაიწყო ზოგი-

ერთი აუტოიმუნური დაავადების დაფინანსება და მეტაბოლიზმის დარღვევების მკურნალობა მაღალტექნოლოგიური მედიკამენტებით.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიწყო მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე აშენდება პედატრიული დეპარტამენტის, დიალიზის, ასევე, №1 პოლიკლინიკისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების ახალი შენობები, ფთიზიო-პულმონოლოგიური დეპარტამენტის შენობას ჩაუტარდება რეაბილიტაცია.

პოლიტიკურად აქტიური კვირის პერიოდიები

«ჩვენ არ შეგვიწყვია
კომუნიკაცია
მთავარ
მოკავშირესთან -
ქართვალ
ხალხთან»

ახალი მსოფლიო წესრიგის ზღვარზე...

«ჩემი ყოველი დღე ბრძოლა და
ღმერთი»

ქაუშეთს თავისი სახელით
უნდა დაუბრუნდეს და ერთ-ერთი
თვალსაზრისით ტურისტული
დანიშნულების
ადგილის განდევნა

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით

თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.
გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»! ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



პოლიტიკურად აქტიური კვირის პერიოდი

თემატა ლაშქარაძე 595 85 80 06

საპარლამენტო უმრავლესობა კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ხელახლა აინიცირებს. „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში უმრავლესობის 2 აპრილს გამართულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ 3 აპრილს გააცნო საზოგადოებას

როგორც მდინარაძემ თქვა, ახალი კანონპროექტის ტექსტი ძველის ანალოგიური იქნება, ტერმინი „უცხოური გავლენის აგენტი“ კი შეიცვლება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციით“.

დებუტატის თქმით, კანონს მიმდინარე სესიის ბოლომდე (ივნისის ბოლო პარასკევი) სამივე მოსმენით მიიღებენ.

მდინარაძე აღნიშნული კანონპროექტის მობრუნებას იმით ხსნის, რომ გაუმჭვირვალობა არის მანკიერების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო და შესაბამისად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, ამიტომაც არის მსგავსი კანონის მიღება საჭირო.

ოპოზიციაში ამ კანონს ისევ „რუსულ კანონად“ მოიხსენიებენ და ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთში გვებრუნებს.

„რუსული კანონის დაბრუნება ივანიშვილის თავმჯდომარე პროვოკაციაა ქართველი ხალხის და ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის წინააღმდეგ.“ - ასე აფასებენ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „დროა“ აგენტების შესახებ კანონის „ხელახლა დაინიცირების განაცხადს“.

რატომ ვბრუნდებით ამ კანონის მიღებით რუსეთში, თუ თავად ევროკავშირები კი განიხილავს აღნიშნულ კანონს. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მოქმედებს აშშ-ში, ისრაელში, ავსტრიაში, კანადაში. თუ ამ ქვეყნებში მუშაობს ეს კანონი და არ ჰქვია „რუსული“, ჩვენთან რატომ ეძახიან „რუსულს“?

ალაბო ვგვლავს განსვით ერთი წლის წინანდელი მარტის აქციები, აღფრთოვნილი მოსახლეობა, რომელიც აგენტების შესახებ კანონს „როგორც რუსულ კანონს უბრუნებდა“ და საბოლოოდ „ოცნებამ“ კანონპროექტი დაიწვია, რაც ხალხის გამარჯვების სახელით ჩაიბეჭდა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ამეხსიერებაში“. და აი, ჯერ კიდევ ვერ გაცივებული კანონპროექტი ქართველი ხალხისთვის კვლავ განხილვის თემა იქცა. ოპოზიცია, მთავრობის მოწინააღმდეგეებს წინასწარ ჩვენოდ მეტი სალაპარაკო მიეცათ და აქციისთვის უკვე ძალებსაც იკრებენ. გაზაფხულია, დათბა, აქციების ჩატარება უკვე რთული აღარ არის, დიდი ხანია არ გვქონია ეს „სიახლოვე“



ნება“ და ამა, „ოცნებამაც“ არ დააყოვნა და აქციების გამართვას ხელიც შეუწყო. აქციებს ოპოზიციასთან ერთად აანონსებს საზოგადოებრივი სპექტრი და დიდი ალბათობით უნდა ველოდეთ ხალხის ხისტ რეაქციას.

გვახსოვს ისიც, რომ შარშან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამბობდნენ, აღნიშნული კანონი აღარ მობრუნდება, მაგრამ ფაქტმა სხვა რამ გვიჩვენა. ვფიქრობ, მაშინ, როდესაც ევროკავშირთან ასე ახლოს ვართ, ასევე არჩევნებთან და ევროპის ჩემპიონატთან, რომელმაც ქვეყანა გაერთიანა, ისევ აქციებისთვის ხელშეწყობა და ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირება არ ჰგავს ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის სწორ არჩევანს.

ამ კვირაში ხაზი გაესვა ქალთა კვლევების საკითხს პარლამენტში, „გირჩის“ მიერ ინიცირებულ ცვლილებას საარჩევნო კოდექსში ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მხარი დაუჭირა.

„გირჩის“ თვალსაზრისით, გენდერული კვლევება ხელს უშლის ქალების რეალურ ჩართულობას საპარლამენტო საქმიანობაში.

ცვლილებების ინიციატორთა აზრით, კანონი ადამიანების შესაძლებლობებს სქესის მიხედვით არ უნდა აფასებდეს.

ცვლილება შეეხება საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვით, ქალების პოლიტიკაში წახალისების მიზნით, მაშაქაცის პარლამენტთან გასვლის შემთხვევაში მისი ჩანაცვლება არა მომდევნო მამაკაცით, არამედ სიის მომდევნო წევრით მოხდება.

ინიციატივას იზიარებს მმართველი გუნდი, სანაცვლოდ კი, როგორც ოპოზიციონერები ეფიქრობენ, კოლეგა დებუტატებისგან ცესკოს თავმჯდომარის არჩევნისას მხარდაჭერას ელის. ქალთა კვლევების საკითხი მიუღებელია ოპოზიციის ნაწილისთვის. მათი

თქმით, „ქართული ოცნება“ და „გირჩი“ გარდგნენ.

უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე ამბობს, რომ ქალები პარლამენტში უნდა მოხვდნენ დამსახურების და არა კვლავის მიხედვით. ამ პოზიციას იზიარებს „ხალხის ძალაც“, ოპოზიციაში კი ამბობენ, რომ ეს მიუღებელია და „გირჩი“ ამ შემთხვევაში მხოლოდ ინსტრუმენტად გამოყენებული „ქართული ოცნების“ მიერ და სინამდვილეში მორიგ ანტიევროპულ ნაბიჯს ისევ ხელისუფლებამ დაგმოს. ოპოზიცია აღნიშნავს, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ზრდა ევროპული სტანდარტია და მმართველი გუნდი გარდა იმისა, რომ ამ სტანდარტს არღვევს, ის ასევე საკუთარ საპარლამენტო სიაში გზას უთავისუფლებს მდიდარ პირებს, რომლებსაც მმართველი ძალისთვის გაცილებით მეტი მხარდაჭერის მოტანა შეუძლიათ.

ერთი კვლევა მაინც წაიკითხეთ - ამ ქვეყანაში არსებობენ ქალები, რომლებსაც სჭირდებათ, რომ მათი ხმა ვიღაცამ გააუღეროს. აქ იყო საპარლამენტო ტრიბუნა, რომელზეც შეიძლება ბევრი სხვათაგან, აქტიური ქალი მოხვედრილიყო, მათ შორის, კვლევების პრინციპით - ესეც მოუსპეთ იმიტომ, რომ გინდოდათ, რაც შეიძლება მეტი ფულის და საარჩევნო რესურსის მობილიზება გაეკეთებინათ“- ასე გამოხმაურა „ევროპტიმისტიკის“ წარმომადგენელი ქალთა კვლევების გაუქმებას.

საპარლამენტო უმრავლესობის დებუტატი ნინო წილოსანის თქმით, კვლევება არის ქალების პოლიტიკაში გაძლიერების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება. მან ასევე აღნიშნა, რომ ოპოზიციური პარტიების მხრიდან ამ თემაზე საუბარი ფარსია.

„ეს პოლიტიკური პარტიები - „ლელოს“ წარმომადგენლები იქნებიან, „ნაციონალური მოძრაობის“, თუ კონკრეტული ინდივიდუა-

ლური პოლიტიკოსები, არასდროს უჭერდნენ მხარს კვლევებს, არც 2018 წელს, 2020-ში და არც 2023-ში. კონკრეტულ გვარებს გავსაჯაროებთ, ვინც ჩვენ მიერ ინიცირებულ კვლევების სისტემას არცერთ ეტაპზე არ დაუჭირებს მხარი და ახლა მათი მხრიდან ამ თემაზე აპელირება ნამდვილად ფარსია“, - აღნიშნა წილოსანმა.

ამ თემას გამოხმაურა „ქალთა მოძრაობაც“. მისი წევრები ამბობენ, რომ მსგავსი ინიციატივები არის ბრძოლა არა მხოლოდ პოლიტიკოსი ქალების, არამედ ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ქალის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, ძლიერი და განათლებული ქალები საჭიროა პარლამენტში. ჩვენი, ქალების ხმა იქ აუცილებლად უნდა ისმოდეს და ერთად უნდა ვიღებდეთ ქვეყნის სასიკეთო გადაწყვეტილებებს. მთავარია, ვინც პარლამენტში დებუტატის სახელით შევა, იყოს განათლებული, სწორად მოაზროვნე და მას ნამდვილად სურდეს ჩვენი ქვეყნის წინსვლა. მეტი განათლებული ქალი პოლიტიკაში - ეს აუცილებელია.

ვეტინგი და ქართული სასამართლოს საკითხი ამ კვირაშიც აქტუალურია.

მართლმსაჯულების კონტექსტში ვეტინგი არის მექანიზმი, რომელიც მოსამართლეების კეთილსინდისიერებას ამოწმებს. ის საგამოწმებელი და არასტანდარტული პროცესია, რომელმაც სასამართლო სისტემა არაკეთილსინდისიერი წევრებისგან უნდა გაწმინდოს. თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება მძიმე ჩარევაა სასამართლო შტოში და ისეთ დროს გამოიყენება, როცა სასამართლოს მიმართ ნდობა დაკარგულია, გამოვლენილია კორუფცია და კლანური მმართველობა, მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები, სისტემა კი თავისი თავის გაჯანსაღებას ვერ ახერხებს.

ოპოზიცია და მესამე სექტორი მოითხოვენ უცხოელების მიერ მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმებას. „ენჯელები“ ირწმუნებიან, რომ ვეტინგი არის ერთადერთი გზა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას საბოლოოდ განსაზღვრავს. მოსამართლეებისა და მთავრობის წარმომადგენლების თქმით, ვეტინგი სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციურ პრინციპებს და სუვერენიტეტს.

ჩვენ არაერთხელ ვთქვით და კიდევ ერთხელ შემიძლია, გავიმეორო, რომ ეს თემა არის აბსოლუტურად დასურთული. ვეტინგი ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს მოქმედ კონსტიტუციას, არამედ ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ სამართლებრივ პრინციპებს. სწორედ ამიტომ

იხ. მე-4 გვ.

პრონია

წელს დაგეგმილი პროექტები განხილვის აჭარის მთავრობაში გამართულ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ხელმძღვანელობდა. სხდომაზე, განკარგულების ფარგლებში ბიზნესის ხელისშემწყობი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის წინასწარი მონაცემებით, აჭარაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 96.2 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 64%-ით აღემატება. სხდომაზე საბჭოს წევრებმა 2023 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებიც განიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 542 მილიონ ლარს გადააჭარბა. აღინიშნა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტების ეფექტიანობაც, ითქვა, რომ მუნიციპალიტეტებმა შარშან მაქსიმალურად აითვისეს როგორც კაპიტალური, ასევე სპეციალური ტრანსფერების ფარგლებში გათვალისწინებული თანხები, ყველა მნიშვნელოვანი პროექტის გეგმის შესაბამისად ხორციელდება.

აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა. ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს. პროექტი კომიტეტის წევრებს უმაღლესი საბჭოს წევრმა დავით გაბაიძემ წარუდგინა. მისი განცხადებით,

ცვლილებების ნაწილი მიზნად ისახავს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწასა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობასთან, პარლამენტის რეგლამენტთან შარბონ-ზაციას. გარდა აღნიშნულისა, პროექტი ითვალისწინებს ახალი ჯილდოების დაწესებას, რომლებიც გადაეცემათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და თავად საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლებს მათი ნამსახურების, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების პატივისცემის ნიშნად. კომიტეტმა რეგლამენტის პროექტი პლენარულ სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია“, - გვითხვითობთ აღნიშნული დეპარტამენტის ვებგვერდზე.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სარეაბილიტაციო ცენტრების წარმომადგენლებთან, აუტოზიმის სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებთან და პროგრამების განმანხორციელებელ ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას მინისტრი ნინო ნიჟარაძე, ბათუმის მერის მოადგილე ლეილა სურმაძე, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი რუსუდანი შავიშვილი, სამინისტროს და ბათუმის მერიის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, მიზნობრივ ჯგუფებთან სისტემატურ შეხვედრებს ვმართავთ. ჩვენი შეხვედრები ინტერაქციულია და მნიშვნელოვანია, როგორც სპეციალისტებისგან, ასევე მშობლებისგან მოვის-

მინოთ ის მოსაზრებები, რომლებიც უფრო მოქნილსა და ეფექტურს გავხდის არსებულ სერვისებს. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ამ მიმართულებით წელს 5 მილიონ 615 ათას ლარს, ხოლო აუტოზიმის მიმართულებით მილიონ ნახევარზე მეტ ლარს გამოყოფს“, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ქობულეთის მაჟორიტარი დებუტატი აქარის უმაღლეს საბჭოში ცოტენ ანანიძე, მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა. ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭო ავრცელებს. უმაღლესი საბჭოს წევრის განცხადებით, პროგრამის მოსაზრებელი სამუშაოები, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ქობულეთშიც დაიწყო. „ადგილობრივები, ძირითადად, შიდასასოფლო გზების ბეტონირებას, გარე განათებების მოწყობას, გაზიფიცირებასა და სასამელო წყლის მიღების შექმნას ითხოვენ, აღნიშნული პროგრამა კი, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, პრობლემების სწორად დაგეგმვის საუკეთესო საშუალებაა“, - აცხადებს ცოტენ ანანიძე. 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის 846 000 ლარია გამოყოფილი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს ორგანიზებით, დასაქმების ფრანკოფონიული ცენტრი გაიხსნა. ცენტრის მიზანი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის ფრანგულენოვანი სტუდენტებისთვის ტრენინგების ჩატარება, ახალგაზრ-

და კურსდამთავრებულთათვის კონფერენციების, სემინარების, ინტერვიუების ორგანიზება, სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარება, დასაქმების ხელშეწყობა და ახალგაზრდებს, მეწარმეებსა და დამსაქმებლებს შორის შეხვედრების ორგანიზებაა. ფრანკოფონიის კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტში არაერთი ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, სპორტული შეჯიბრი, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. კონკურსებში გამარჯვებულებს სერტიფიკატები და საჩუქრები გადაეცათ.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად, პოლონეთში, ვროცლავში, სერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში International Tourism Fair Wroclaw-ი მიიღო მონაწილეობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, გამოფენაზე საქართველოს სტენდზე ქართული კერძო კომპანიები იყვნენ წარმოდგენილი. ვროცლავის გამოფენის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა პოლონურ ტურისტულ კომპანიებთან სამომავლო თანამშრომლობისა და ტურების დაგეგმვის მიზნით. პოლონური კომპანიები დაინტერესდნენ საქართველოს საზღვაო კურორტებით, კულინარიითა და სავაჭარო-სავაჭარო ტურისტული აქტივობებით. ვროცლავის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას 13 ათასამდე ვიზიტორი ჰყავდა. გამოფენაში 200-მდე ტურისტული ორგანიზაცია და კომპანია მონაწილეობდა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

მომზადდა ხატია იაშვილი



ახალი მსოფლიო წესრიგის ზღვარზე...

ლუაზა ხომეირიკი 593 50 82 69

მსოფლიოს გლობალური პრობლემები აფორიაქებს. მათ შორისაა რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც მესამე წელია, მიმდინარეობს და გარკვეული დასკვნების გაკეთება შეუძლებელია. უკრაინამ შეძლო, გამკლავებოდა რუსეთის არმიას და მნიშვნელოვანი ზიანიც მიეყენებინა. კრემლმა ვერც კივების, ხარკოვისა და ოდესის აღება შეძლო, რაშიც უდიდესი წვლილი დასავლეთს მიუძღვის. მისი მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, უკრაინას გაუძნელებოდა მტრის შეჩერება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ახლა ომის გადამწყვეტი ფაზაა



დენებრობეტროვსკის ელექტროსადგური დაბოძდა...

უდავოა, რუსეთის გამარჯვება ან მარცხი უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს... - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი **ლუაზა ხომეირიკი**.

- მოსკოვში განხორციელებულ ტერორისტულ აქტში რუსული მხარე უკრაინას ადანაშაულებს. ამით რის მიღწევას ცდილობს კრემლი?

- საკითხი, ერთი შეხედვით, მარტივია, თუმცა არსებითად თუ შევხვდებით, არ არის მარტივი. ეს, რუსეთის რეალობიდან გამომდინარე, ტიპური პროცესია. ჩვენ არაერთი ფაქტის მომსწრე ვართ, როცა მოსკოვი მიზნის მისაღწევად მილიტარისტულ გზებს მიმართავს. რუსეთის მთავრობა, სპეცსამსახურები იყენებენ ასეთ ბინძურ მეთოდებს. ფაქტი ერთია, რომ მთლად ვერ ვილაშქრებ ამ შემთხვევას ისეთ ჩარჩოში, როგორც სურთ. პირდაპირ, მკაფიოდ უკრაინასთან კავშირი არ ჩანს, მცდელობები არის... კითხვა ძალიან ბევრია. ვფიქრობ, რადგან პირველყოფილ ვადობა არ გვაქვს, შევასება რთულია.

- უკვე მესამე წელია, უკრაინაში ომი მიმდინარეობს, ახლა რა ფაზაა?

- ამჟამად შუა ფაზიდან დასკვნით ფაზაში გადასვლის მომენტია. მხარეებმა, ფაქტობრივად, არსენალის ორი მესამედი გამოიყენეს. არის მოსაზრება, რომ რუსეთს ჯერ კიდევ ბევრი იარაღი აქვს, მაგრამ თუ ასეა, რატომ ვერ ვხედავთ ამას ბრძოლის ველზე? ანუ ისეთ გარდატეხას, რომელიც აშკარად მიანიშნებდა მის უპირობო გამარჯვებაზე? ან რატომ საუბრობს უკრაინა გამარჯვებაზე, თუ ასეთი უპირობო გამარჯვება აქვს რუსეთს? აქ მეორე მხარეცაა - შეფასება არ შეიძლება ცალმხრივად გაკეთდეს.

- ცნობილია, ომის პირველ ეტაპზე რა მიზანს ისახავდა რუსეთი უკრაინაში. ამჟამად მისი მიზნები და მაქსიმუმი რა არის?

- როგორც არასდროს, რუსეთი დღეს ისეთი არასდროს მიმდევრული თავის პოლიტიკაში, სამხედრო ოპერაციაში. ვიცით, ადრე რა უწოდა ამ ომს კრემლმა - სპეციალური სამხედრო ოპერაცია, ახლა კი რუსეთის არცერთი პასუხისმგებელი პირი ომის ტერმინის გამოყენებას აღარ ერიდება, თუმცა დღეს უფრო არ არის ომი, ვიდრე დასაწყისში. სრულმასშტაბიანი ომი მაშინ იყო, როცა რუსული ტანკები, სპეცტექნიკა, ცოცხალი ძალა კიევისკენ გარდევას ცდილობდა და წითელი დროშის აღმართვას ლამობდნენ - ამისთვის ინტენტი ჩატანილი ჰქონდათ. მაშინ უკრაინამ პირწმინდად გაანადგურა მტრის ჯარი. ახლა რუსეთი იბრძვის დონეცკის და ლუგანსკის რეგიონებისთვის. მსოფლიოსთვის ცნობილია, რა იყო რუსეთის მიზანი და რას დასჭერდა საბოლოოდ. რუსეთს არ გააჩნია რესურსი მთელი უკრაინის დასაპყრობად.

- რუსეთის არმიამ ამას წინათ

დენებრობეტროვსკის ელექტროსადგური დაბოძდა...
- ერთადერთი მიზანი აქვს რუსეთს (როგორც უკრაინას) - მოწინააღმდეგის რესურსების გაზრდა, რადგან უკრაინამ ახლა რომ შეძლოს გარკვეული ძალების ისე კონცენტრირება, რომ სადმე საზღვარი გაარღვიოს, რუსეთს უკრაინის დარდი აღარ ექნება, ამიტომაც ცდილობს, უკრაინის არმია მაქსიმალურად გააბნოს ბრძოლის ხაზზე და არ მისცეს გაერთიანების საშუალება. სამწუხაროდ, უკრაინას აქვს ცოცხალი ძალის, ტექნიკის, ჭურვების პრობლემა. დასავლეთი საბრძოლო მასალების გადაცემაზე თავს იმითომ იკავებს, რომ არ სურს რუსეთის მიყვანა უკიდურესობამდე, რათა ამ უკანასკნელმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი. ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებაც პრობლემური იქნება, რადგან ნატოს მაკავებელი ფაქტორი ვერა იმუშავებს, ვინაიდან აღიანსი ვალდებული იქნება, სრულმასშტაბიანად ჩაერთოს ამ პროცესში ამას მოითხოვს მისი წესდება.

- რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა ამას წინათ განაცხადეს, სანამ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთი ატომურ იარაღს არ გამოიყენებს, ომს ვერ მოვიგებთ...

- ინტერვიუს დასაწყისში აღვნიშნე, რომ რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა. ვგულისხმობ პოლიტიკურ ელიტას, რომელსაც რომელ მომენტში რა პრიორიტეტები აქვს, არავინ იცის. უკრაინაში ომიც ხომ რუსეთმა დაიწყო არა იმიტომ, რომ საფრთხე ემუქრებოდა უკრაინიდან, დასავლეთიდან... მკითხველს შევასვენებ: საბჭოეთის დაშლის შემდეგ რუსეთის გაძლიერებაზე მუშაობს ამერიკაც, ევრობაც და მან ვაჭრობის ისეთ მასშტაბებს მიაღწია, ისეთი შემოსავლები გაიჩინა, რომ საბჭოთა კავშირიც ვერ დაიკვივნიდა უცხოური ვალუტის ისეთი დინებით, როგორც რუსეთის ბიუჯეტში მოედიებოდა.

- ამ რამდენიმე წლის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდემა განაცხადა, რომ ბუტინი მანიაკია და რუსეთს ახალ ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს.

- ის, რომ სანქციები მოქმედებს, ფაქტია და ამაზე არ უნდა ვივადოთ - ეს მსჯელობის საგანი არ არის. სამსჯელოა - რამდენად კმაყოფილი არიან ის სახელმწიფოები და საზოგადოება, რომლებიც იმედებს სანქციებზე ამყარებდნენ მკისიერი შედეგის მისაღწევად. სანქციებს აქვს შესაბამისი სათადარიგო რეზერვები, გათვლები, ბიუჯეტი, შემოსავლის წყაროები, რომლებიც ავსებს იმ დანაკლისს, რაც სანქციების გამო ადგება რუსეთს. ამ პირობებში ვერ ვიტყვით, რომ თუ დღეს დაგუწესებთ სანქციებს რუსეთს, უკვე ზვალ მას დაჩოქილს დავინახავთ, მაგრამ, ცხადია, რუსეთი ვეღარ არის ისეთი, როგორც ამ ომამდე - ეს ფაქტია.

- თავის მხრივ რუსეთის პრეზიდენტმა ბუტინმა ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა:

საერთაშორისო სამართალი არ არსებობს, არის ძალის კანონი. ეს რისი მანიშნებელია?
- ეს არაფრის მანიშნებელია, ეს არააკადემიური განცხადებაა და მინდა, მკითხველს ვუთხრა, რომ ასეთი ზედპირული, მარკეტინგული განცხადებები უშინაარსოა, რადგან სანამ ადამიანი არსებობს სოციალურ

და: საერთაშორისო სამართალი არ არსებობს, არის ძალის კანონი. ეს რისი მანიშნებელია?

- ეს არაფრის მანიშნებელია, ეს არააკადემიური განცხადებაა და მინდა, მკითხველს ვუთხრა, რომ ასეთი ზედპირული, მარკეტინგული განცხადებები უშინაარსოა, რადგან სანამ ადამიანი არსებობს სოციალურ

წმინდა სამართლებრივად, ახალი მსოფლიო წესრიგის ზღვარზე ვდგავართ. მსოფლიოში უნდა განდეს შეიარაღებული ძალების გამოყენების ახალი მექანიზმები, ინსტიტუტები. ასე უპირობოდ და სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით ხალხის დახოცვა მსოფლიომ არ უნდა დაუშვას, ანუ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ამ შემთხვევაში - რუსეთის

ში, მანამდე იარსებებს სამართალი. როგორი სამართალი იქნება ეს, სხვა საკითხია. საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ, უბრალოდ, მისი ეფექტიანობის ხარისხი შემცირდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტის მოქმედებებს თუ დავაკვირდებით, თითქოს მთელი მათი გადაწყვეტილებები ეფუძნება საერთაშორისო სამართლის ნორმებს (რეალურად, არღვევს ამ ნორმებს). კრემლს ეშინია ისეთი ფაქტორული შეცდომის დაშვების, რომელიც დააკარგვინებს იმ მცირეოდენი სახელმწიფოების მხარდაჭერასაც, რომლებიც განუდგებიან უხეში დარღვევის შემთხვევაში. დღეს რუსეთს შესწევს ძალა, სამართლებრივად დაუსაბუთოს ცალკეულ მხარდაჭერებს, რომ ის მოქმედებს არსებული მართლწესრიგის ფარგლებში.

- სხვათა შორის, რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გარი კასპაროვმა აღნიშნა, რომ აშშ და დასავლეთი ვერ ჩამოყალიბდნენ რუსეთის დამარცხების საკითხში და სანამ დასავლური პოლიტიკური ელიტაში ასეთი გაურკვევლობა იქნება, ბუტინი ომს არ შეწყვეტს.

- იმ სახით, როგორც დღეს არის დასავლეთი, ამერიკა, რუსეთს ვერ დაამარცხებს, უპირობო დამარცხებაზე მაქვს საუბარი, ანუ რუსეთის კაპიტულაციაზე. რუსეთის დასამარცხებლად საჭიროა უპირობო კონსოლიდაცია. გვაქვს დღეს ასეთი კონსოლიდაცია? არა! საერთოდ, ლიდერი სახელმწიფოები სხვადასხვა შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ: ზოგი - იარაღისა და ჭურვების მიწოდებაზე, ზოგიც - ადამიანური რესურსით დახმარებაზე... სამწუხაროდ, არავინ საუბრობს ერთიან ძალაზე, ანუ შესაძლებლობების გაერთიანებასა და ერთობლივ დახმარებაზე. ცალკე-ცალკე დახმარებით ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი იქნება.

- საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა არ გამოიხატა ფრანგული არმიის გამოჩენა უკრაინაში...

- ეს რუსული სტრატეგიაა, რომელიც ამ შემთხვევაში ფრანგებმა და სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმაც გამოიყენეს. მაგალითად, პოლონეთმა არ გამოიხატა უკრაინაში სამხედროების გაგზავნა, მაგრამ ეს არის პრევენციული ნაბიჯი, რომე-

ლიც ამოწმებს რუსეთს - რას იტყვის? რა ზომებს მიიღებს? თუ საფრანგეთი და პოლონეთი მართლაც გაგზავნიან შეიარაღებულ ძალებს უკრაინაში, მაშინ რუსეთი კვლავ გააგრძელებს მობილიზაციას, რადგან ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალების დასაძლევად საჭიროა ერთი გაერთიანება და საერთო ძალებისმეგობრება.

- არის მოსაზრება, რომ შესაძლოა უახლოეს მომავალში მსოფლიოს გავლენიანმა ქვეყნებმა რუსულ-უკრაინული მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დასვან და უკრაინას კომპრომისი აიძულონ - რას ფიქრობთ?

- ეს უკვე რეალური ვახდა, რადგან თუ დასავლეთი და აშშ განაცხადებენ, რომ შეიარაღებით საკმარისად ვერ მოამარაგებენ უკრაინას, მაშინ ამ ქვეყნისთვის ეგზისტენციალური დილემა დგება - შეაკვდნენ რუსეთს თუ გადაარჩენენ (იმ ტერიტორიებით, რომლებსაც აკონტროლებდნენ დღეს), ამიტომ სულაც არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვე-

ნიერ დღეს დასავლეთის პასუხობით დაიყოლიონ უკრაინა კომპრომისზე.

- ადრია, დენსტრისპირეთი მოვითვინებოთ - განაცხადა ამერიკელმა პოლიციელმა ალექს ქროუფერმა, რამდენად რეალურია, კიშინიოვმა დენსტრისპირეთი დაიბრუნოს?

- თუ რუსეთი იმ დონემდე დასუსტდება, რომ იქ უკვე ვეღარ გააკონტროლებს სიტუაციას, ანუ ვერ გამოკვებავს სამხედროებს, ვერ აღჭურავს, მაშინ თვითონ გამოვა ამ რეგიონიდან, თუმცა არა მგონია, ასე მარტივად იყოს საქმე.

- თუკი რუსეთი დაამარცხდა, საერთაშორისო დღის წესრიგი როგორ ჩამოყალიბდება?

- ვფიქრობ, დასავლეთი ძალიან ლიბერალური სივრცეა. ევროპის მიზანია, რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა გახდეს, რომელიც პატივს სცემს მეზობელი სახელმწიფოების თავისუფალ არჩევანს და ამავე დროს, დემოკრატიის საწყისებზე, მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს ახალი წესრიგის ფორმირებაში. ცხადია, ეს შესაძლებელი იქნება, თუ ქვეყნის სათავეში დემოკრატიული ძალები მოვლენ.

- ახლა ჩვენს რეგიონზე ვისაუბროთ, სომხეთი დისტანცირდება რუსეთისგან...

- ძალიან მყიფეა იქ მდგომარეობა. სომხეთი ცდილობს, არ დაუშვას ესკალაცია, კონფლიქტის განახ-

ლება აზერბაიჯანთან, მიდის დათმობაზე, ანუ ზრუნავს მშვიდობის შენარჩუნებაზე, ცდილობს, რუსეთთან ისე ისაუბროს, რომ ბოლომდე არ გააღიზიანოს, თუმცა ქმედებებიდან ჩანს, რომ რადიკალური ცვლილებებისთვის მზად არის და ეს მდგომარეობა დიდი ხანია მწიფდება. ის ამისათვის ემზადებოდა. სომხეთი უკმაყოფილოა თავისი მოქალაქეების მდგომარეობით რუსეთში, ბოლო წვეთი იყო აზერბაიჯანთან ომის დროს რუსეთის ნეიტრალიტეტი, ანუ განზე დგომა. კრემლმა არ მიიღო მონაწილეობა აზერბაიჯანის შეკავებაში და ახლა სომხეთი არსებობის ზღვარზე დგას, რადგან აქეთ ირანია, იქით - თურქეთი და აზერბაიჯანი... სომხეთი ეძებს მხარდაჭერას დასავლეთში, კერძოდ, ამერიკასა და საფრანგეთში, სადაც ჰყავს დიდი დასახორა. სავარაუდოდ, ამ მხარდაჭერას ისინი მიიღებენ და პროცესი მოლაპარაკებების გზით გადაწყდება, თუმცა არის ომის განახლების ალბათობა.

- დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტად დაბრუნდება, უკრაინაში ომს დაასრულებს...

- ამის გაკეთება ძალიან მარტივად შეუძლია - უკრაინას ყველა საგარეო დახმარებას შეუწყვეტს... მისი ამოცანა ელექტორატის გაზრდაა, რათა კვლავ აირჩიონ მეორე ვადით. დონალდ ტრამპი პროფესიონალი პოლიტიკოსი არ არის, ის ბიზნესმენია, პოპულიზმის სინდრომითაა შეპყრობილი და მას ამომრჩევლის რაოდენობის გაზრდა აინტერესებს საარჩევნოდ.

- დაბოლოს, რას უქადის ეს ომი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს?

- წმინდა სამართლებრივად, ახალი მსოფლიო წესრიგის ზღვარზე ვდგავართ. მსოფლიოში უნდა განდეს შეიარაღებული ძალების გამოყენების ახალი მექანიზმები, ინსტიტუტები. ასე უპირობოდ და სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით ხალხის დახოცვა მსოფლიომ არ უნდა დაუშვას, ანუ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ამ შემთხვევაში - რუსეთის. ჩვენს ქვეყანას რაც შეეხება, გააჩნია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ინტერესები. ამ მხრივ ვერც უკრაინასთან და ვერც რუსეთთან შეთანხმდობა მივიღოთ. ცხადია, ყველასთვის მისაღებია ამ ომის დასრულება. ვისურვებდი, რომ ომი უკრაინის გამარჯვებით დასრულდეს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დასავლეთმა უნდა შეიტანოს.

დღეს თამაში „პეტრას ბანდი“ სტარტს იღებს

დღეს პეტრას ციხეზე პირველი ეროვნული პროექტი „პეტრას ბანდი“ აიღებს სტარტს. ეს არის სათავადასავლო თამაში, რომელიც ისტორიულ ფაქტებზეა დაფუძნებული და დროში მოგზაურობასაც გულისხმობს. ინფორმაციას Calypso Travel & Event-ი ავრცელებს.

პროექტზე კომპანია Calypso Travel & Event-მა იმუშავა, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ტურიზმისა თუ ღონისძიებების ორგანიზების სფეროში და ამ კუთხით, წლების განმავლობაში არაერთი ჯილდოც მოიპოვა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დარგში. გუნდები უკვე დაკომპლექტებულია. მონაწილეობის ორი დღის განმავლობაში 24 დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ. თამაშის შექმნის საფუძველი პეტრას ციხის რეალური ისტორიის გაცნობაა, რაც ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს.



„ჩემი ყოველი დღე ბრძოლაა და ომია“

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06

„ტივილის მიუხედავად, სურვილი იმისა, რომ გზის ბოლოს გელის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, ყველაზე ძლიერ ტივილსაც კი გადაგატანინებს“ - ეს 29 წლის მწერალ ანა ბარათაშვილის სიტყვებია

ბევრ ტივილს გაუძლო. მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ პირია, ცხოვრებამ არ გააბოროტა, მიზანი დაიხარა, იბრძოლა და მიადგინა კიდევ უკვე ორი წიგნის ავტორია და ამჟამად, რომ მისი ცხოვრების მნიშვნელოვან დროს საკუთარი ნიჭის წარმოჩენასა და საინტერესო საქმეების კეთებაში ხარჯავს. სწორად, რომ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება მშვენიერია. ბედნიერია საკუთარი თავით და სხვებსაც სტიმულს აძლევს გამძლეობითა და კეთილშობილებით.

- როდის იგრძენით შემოქმედებითი აღმაფრენა?

- როდესაც რაღაც იმალეა ჩვენში, ამას ან ბედნიერებისას ვპოულობთ, ან პირიქით - ტივილის დროს. 17 წლისამ იმ ტივილით, რომ რაღაც დავკარგე და ამას ვერ და არ ვგეგუებოდი (დღემდე ასეა), გადავწყვიტე. სწორედ ის გამეხდა უკვდავი და მისი ისტორია დავწერე. ამით აღმოვაჩინე, რომ შემძლია რაღაც საოცრების გაკეთება და ეს ხალხსაც უნდა გავუზიარო.

- თქვენი ცხოვრება წიგნებამდე და წიგნების შემდეგ...

|| დღესაც უჭირთ იმის აღქმა, რომ უშუალოდ პირებსაც ისევე გვიყვარდება, როგორც ყველას. ვთვლი, რომ ყველა ადამიანი არის რაღაცით განსხვავებული. ჯანმრთელი ადამიანები თუ ქმნიან ოჯახებს და ჰყავთ შვილები, რატომ არ შეიძლება ეტლით მოსარგებლე გოგონასაც ჰყავდეს ოჯახი, მეუღლე, შვილები? ამ კითხვას ისევე მკითხველს ვუსვამ

- წიგნებამდე იყო მარტოობა. მხოლოდ სახლი და ფიჭობები... მეც მინდოდა სკოლაში სიარული. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში სკოლა არ იყო ადაპტირებული, ამიტომ სულ სახლში მიწვევდა ყოფნა. როცა წიგნები გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, პირველი კი „შარი პორტერი“ იყო, იმდენად ჩამთრია მისმა ისტორიამ, იმდენად გავუყვარე, რომ აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. სწორედ „შარი პორტერი“ შემაყვარა კითხვა და 14 წელია, ჩემი ცხოვრება და წიგნები ერთი მთლიანობაა. ცუდი ის არის, რომ ბევრი კარგი წიგნი იმდენად ძვირია, ვერ ვყიდულობ და ხშირად მიწვევს უარის თქმა ამ ბედნიერებაზე. მინდა მოვუწოდო მწერლებს, რომ წიგნები ყველა-სთვის ხელმისაწვდომი გახადონ, რათა უფრო მეტ მკითხველს მიანიჭონ სიამოვნება.

- თქვენი ნაწარმოებების მთავარი გმირი თავად ხართ თუ გამოგონილი პერსონაჟები არიან?

- რთული სათქმელია, ჩემი წიგნის გმირებიდან ვინ არის ნამდვილი და ვინ - გამოგონილი.

- ვინ არის თქვენი პირველი შემფასებელი?

- ყოველთვის, როცა რომანს ან ჩანახატს ბოლო წერტილს დავუვსებ, უპირველეს ყოვლისა, მე ვკითხვობ თავიდან ბოლომდე, ყველაზე გულწრფელი და ობიექტური შემფასებელი კი ჩემი ძმია. შექმნასთან ერთად, მისი კრიტიკაც კი სტიმულს მომცემია.

- რა არის წერა თქვენთვის - რეალობიდან გაქცევა თუ უბრალოდ, კომფორტის ზონა?

- ჩემთვის წერა სულის ჰარმონია და სა-



კუთარ მესთან დიალოგია. რეალობას არ გვურბივარ, პირიქით, ჩემს ბოლო წიგნში (სოფრენი, რომ ვარსებობს) იმდენად მწარედ მიწერია სიმართლე, რომ მეც კი გავოცდი. რაც შეეხება კომფორტის ზონას, ვფიქრობ, უბრა-

ვგვიყვარდება, როგორც ყველას. ვთვლი, რომ ყველა ადამიანი არის რაღაცით განსხვავებული. ჯანმრთელი ადამიანები თუ ქმნიან ოჯახებს და ჰყავთ შვილები, რატომ არ შეიძლება ეტლით მოსარგებლე გოგონასაც ჰყავდეს ოჯახი, მეუღლე, შვილები? ამ კითხვას ისევე მკითხველს ვუსვამ.

- „მარტოდ დარჩენილი ტივილი მკლაღა“ - ეს თქვენი სიტყვებია. ხშირად გრძობთ თავს მარტოსულად?

- ვფიქრობ, მარტოობა ყველა ადამიანის სასწულია. სწორედ რომ სასწულია, როდესაც ვერ ნახულობ მეგობრებს, ახლო ნათესავებს იმიტომ, რომ გარემო არ გიწყობს ხელს. თავს ხშირად ვგრძობ მარტოდ, თუმცა ხანდახან ესეც კარგია, რადგან მაშინ ვხვდები, ვინ არის ნამდვილი მეგობარი, ჩემი ნამდვილი გულშემატკივარი.

- „მე ვარ პატარა ქალი ამ დიდ ბრძოლაში. ჩემს იარაღად კლამი ავირჩიე და ვხვდები, რომ მალე მელანაც გამითავდება“... რას გულისხმობთ?

- როგორც მწერალს, მჭირდება განვითარება, სიარული პოეზიისა და ნებისმიერ ლიტერატურულ საღამოზე, მაგრამ სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების და კიდევ ბევრი სხვა დაბრკოლების გამო, ამ ყველაფერს ვერ ვახერხებ. სულიერი „მელანის“ ნაკლებობას ვგრძობ.

|| ადაპტირებული გარემოსთვის უშუალოდ პირები და ჩვენი მშობლები დიდი ხანია ვიბრძვით, მაგრამ ამ ბრძოლაში ჩვენ გვერდით არავინ დგას. ტექნოლოგიურად განვითარებულ პირობებში გამოსავლის პოვნა ძალიან მარტივია, ოღონდ ყველა ადამიანმა უნდა გამოთქვას პროტესტი სოციალური ქსელების მეშვეობით და გამოგვიცხადოს სოლიდარობა. დღეს ეს ყველაზე იოლი გზაა, ასევე, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ საზოგადოებრივ შეკრებებზე, რომ მივიდეს ხმა დანიშნულების ადგილამდე. ამგვარი ქმედება ბევრ რამეს შეცვლის უშუალოდ პირებისთვის

შეიძლება შეუყვარდეთ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ქალი...

- ჩემი პირველი რომანი ბევრისთვის საინტერესო აღმოჩნდა. გვიყვარდეს ოდნავ განსხვავებული ადამიანი, მით უმეტეს, მაშინ, როცა საქართველოში ამაზე ძალიან ცოტა ადამიანი საუბრობდა, ნამდვილად იყო გასაოცარი არა მარტო მკითხველისთვის, არამედ ბევრი ჩემი ახლობლისთვისაც. დღესაც უჭირთ იმის აღქმა, რომ უშუალოდ პირებსაც ისევე

- რა შეგესებს ამ დანაკლისს?
- პასუხი მარტივია: მწერლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ნებისმიერი უშუალოდ პირი, რომელიც ლექსებს ან რომანებს წერს, მათი თანასწორია. ორგანიზაციები და მალაზიები, რომლებიც იწვევენ მწერალს სხვადასხვა საღამოზე, გარემოს არ აქცევენ ყურადღებას. შეიძლება მე გავიგო კონკრეტული ღონისძიების შესახებ, მივიდე, მაგრამ შენობაში ვერ შევიდე. მივმართავ მათ, ვინც კულტურულ ღონისძიებებს გეგმავენ - შექმნილი ყველა-სთვის ხელმისაწვდომი გარემო.

- ხშირად ახსენებთ, რომ ეტლით მოსარგებლე პირებისთვის არ არის ადაპტირებული გარემო, რაც პრობლემებს გიქმნით. როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარების გზები?

- ადაპტირებული გარემოსთვის უშუალოდ პირები და ჩვენი მშობლები დიდი ხანია ვიბრძვით, მაგრამ ამ ბრძოლაში ჩვენ გვერდით არავინ დგას. ტექნოლოგიურად განვითარებულ პირობებში გამოსავლის პოვნა ძალიან მარტივია, ოღონდ ყველა ადამიანმა უნდა გამოთქვას პროტესტი სოციალური ქსელების მეშვეობით და გამოგვიცხადოს სოლიდარობა. დღეს ეს ყველაზე იოლი გზაა, ასევე, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ საზოგადოებრივ შეკრებებზე, რომ მივიდეს ხმა დანიშნულების ადგილამდე. ამგვარი ქმედება ბევრ რამეს შეცვლის უშუალოდ პირებისთვის.

- ამბობთ, რომ თქვენთვის გულწრფელი ურთიერთობა მნიშვნელოვანია. რამდენად ხედავთ ამას სხვების მხრიდან?

- გულწრფელობა ნებისმიერი ურთიერთობის საყრდენია. მე მხოლოდ გულწრფელ ყურადღებას, ზრუნვას და საუბარს ვითხოვ. სამწუხაროდ, ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი, რომელთანაც გულწრფელი ურთიერთობა მაქვს, ძალიან ცოტაა.

- რა გწყინთ და რა გახარებთ?

- მწყინს, როცა ვგრძობ, რომ ვინმეს ვეცოდები. ბოლო დროს ამ შეცოდებას ახლო-ბელ ადამიანებშიც ვხედავ, რაც გულსატკეპნიანია. სიხარულს გულწრფელი ჩანუტება, ხელის ერთი ჩაკიდება ან ერთი ყვავილის ჩუქება მგვრის, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ვალდებულებისა და სიბრაულის გამოხატულება.

- რას ეტყობთ იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან თქვენსავით სულიერად ძლიერი და უჭირთ პრობლემებთან გამკლავება?

- ცხოვრება არავისთვისაა იოლი, არც ვარდებიდან მოგვიწილი ის გზები, რომლებიც

წინ ელით, მაგრამ არ უნდა დანებდნენ. ბევრჯერ წავიკვივლავარ, ბევრჯერ მტკენია, მაგრამ არასდროს დავნებებულვარ. ყოველთვის ეძებე გზა, რომ გამოხატოთ საკუთარი აზრი.

- რას უნდა ელოდოს თქვენგან მკითხველი უახლოეს მომავალში?

- მკითხველებს ვუშნადებ კიდევ ერთ რომანს, რომლის წაკითხვის დროსაც გავიცნობ და ნოსტალგიასაც იგრძობენ. ვფიქრობ, ღირს ლოდინი.

პირველად - საქართველოს ისტორიაში

6-7 აპრილს გუდაურში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება სნოუბორდში

მთის ტრასების სააგენტოს ცნობით, ღონისძიება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით გაიმართება, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი 18 ქვეყნის (შვეიცარია, ავსტრალია, კანადა, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, ნორვეგია, რუმინეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, აშშ და საქართველო) 21 წლამდე ასაკის 80 სპორტსმენი იასპარეზებს. „საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის მხრიდან ღონისძიებას დაესწრებიან და საორგანიზაციო პროცესებში მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრის დირექტორი პიტერ კროველი და ტექნიკური დელეგატი რიკარდო კიმინჯი.

ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში პირველად ტარდება. მიმდინარე წლის 3-4 თებერვალს გუდაურში მსოფლიო თასის ეტაპს სნოუბორდ კროსის დისციპლინაში წარმატებით უმასპინძლა. საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა და მსოფლიო სპორტულ რუკაზე კვლავ საპატიო ადგილი

დაიკავა. სნოუბორდ კროსის დისციპლინაში წარმატებით ჩატარებულმა მსოფლიო თასმა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ყურადღება ჩვენი ქვეყნისადმი ისევე მიიპყრო. სწორედ ამიტომ გუდაური, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საორგანიზაციო კუთხით, საერთაშორისო ღონის შეჯიბრების ჩასატარებლად კიდევ ერთხელ შეირჩა.

ღონისძიება პირველად 1997 წელს, იტალიაში ჩატარდა, შემდეგ მასპინძლები იყვნენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა: ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, შვედეთი და სხვა, 2024 წელს კი საქართველომ მოიპოვა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება.

ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის ტრასების სააგენტოსა“ და სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართება, შეჯიბრების სპონსორი კომპანია „ბი სი“, „რედკო“ და „სილქნეტი“, - აღნიშნულია სააგენტოს ინფორმაციაში.

05.04
საპირველი სააგენტოს შავიბრევა | 09:00

06.04
ფინალი | ინფორმაციის შავიბრევა | 09:00
დახილვა

07.04
ფინალი | მთხილამურო შავიბრევა | 09:00
დახილვა



ქაშუეთს თავისი სახლის უნდა დაუბრუნდეს და ერთ-ერთი მთავარი ტურიტული დანიშნულების ადგილის გახდეს

მიხეილ ზოსიძე ქართული უფროსი ტიპის ვეტერანია, 86 წელი უკან მოიტოვა. მისი ცხოვრება, შრომა და უფროსი ტიპის საქმიანობა წარმოჩენილია წიგნში „ცხოვრების დიდ გზაზე“. მიხეილი მშობლიურ სოფელ ჯაბნძეხელში დიდი მოსიყვარულე და მოამაგეა. ამჟერად, ერთ მენტად სათუთ და საინტერესო საკითხზე გვესაუბრა.

- სამოცდასამი წლის წინათ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს გამოსათხოვარი საღამო გვქონდა. საღამოს ჩვენი საყვარელი ლექტორი, პროფესორი იური სინარულიძეც ესწრებოდა. დაინტერესდა, ვინ, სად ვიწყებდით საქმიანობას. ჩემი ჯერ კიდევ დადგა, დიდი საბაყით ვუბასუხე, მშობლიურ სოფელ ჯაბნძეხელის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელი ვიქნებო-მეთქი. არა! - შემეხსენებოდა ბატონი იური, - შენ ჯაბნძეხელიდან კი არა, ისტორიული ქაშუეთიდან ხარო.

- რა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გააკეთა ასეთი დასკვნა?

- საქართველოში ქრისტიანობა სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა. ანდრია პირველწოდებულმა საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობა ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან დაიწყო. სხვა კუთხეების მსგავსად აჭარაშიც, კერძოდ, დიდაჭარაში აშენდა პირველი ქრისტიანული ეკლესია. აქედან დაიწყო გავრცელება უფლის სიტყვაში. თქვენ - ჯაბნძეხელის, უფრო სწორად, ქაშუეთის გავრცელება საბაყით. X-XI საუკუნეებში მამა ბასილია ააშენა ქაშუეთის ეკლესია. ბატონ იური სინარულიძის წიგნშიც „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (გვ.157) მითითებულია, რომ „ამ სერზე (კომაკეთის სერზე - მ. ზ.) მოღწეულია ნანგრევები, რომელსაც მოსახლეობა ნაქილ-ისვარს უწოდებს. „ქილისა“ ბერძნული სიტყვაა და ეკლესიას ნიშნავს“.

სოფელში დაბრუნებულს ყოველთვის მახსენდებოდა ბატონ იურის შეგონება, რომ მომავალ თაობებს ევალეზით წინაპართა მიერ დატოვებული ისტორიული ნაღვალ-ნაშაბის შესწავლა და მომდევნო თაობებისთვის გადაცემა.

- ალბათ, საქმიანობა შესაბამისი რეაქცია გქონდა?

- დიახ, სკოლის პედაგოგებთან ერთად მივყავი მის სიტყვებს და... 1960 წლის 20 სექტემბერს ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებს პირველად შევიწვია. პირველი „არქეოლოგიური გათხრები“ შედეგადად გამოდგა. აღმოჩნდა სხვადასხვა კერამიკული ნაწარმი, რკინისა და ბრინჯაოს ნაშთები, თლილი ქვები. ყველაფერი ეს პატარა სასკოლო მუზეუმში მოვათავსეთ. საუბედუროდ, მოგვიანებით სკოლის შენობა დაიწვა და ნივთიერი მასალაც განადგურდა.

- რატომ, მაშინდელ ხელისუფლებას შესაბამისი ნება არ აღმოაჩნდა?

- სამწუხაროდ, მაშინდელი ხელმძღვანელობა ყურად არ იღო სოფლის მოსახლეობის სურვილი, გაგრძელებულიყო ნაეკლესიარის გათხრები და საშვილიშვილო საქმე მი-



ვიწყებს. ეს მაშინ, როცა ქართველთა დიდი მოამაგეებს და მკვლევარებს: ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, დავით ბაქრაძეს, გი-

2013-2017 წლებში შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელად დაინიშნა ისტორიკოს-მკვლევარი, პროფესორი ტარიელ ებრაღიძე, რომელიც დაინტერესდა ქაშუეთის ნაეკლესიარის ბედით და საქმეც წინ წავიდა. სხალთის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონიც ჩაერთო ამ საშვილიშვილო საქმეში და ქაშუეთის ნაეკლესიარის პირველი არქეოლოგიური შესწავლაც დაიწყო. რატომღაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, შენედა ნაეკლესიარის არქეოლოგიური კვლევები

ორგი ყაზბეგს, ჯემალ ნოღაიდელს, ლიხოსკისა და სხვებს, აჭარაში ასზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი აქვთ აღწერილი, მათ შორის ქაშუეთის ნაეკლესიარიცაა მოხსენიებული. ოსმალთა დამპყრობლები ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ნანგრევებზე აშენებდნენ მეჩეთებს. მათ ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებზეც დააპირეს მეჩეთის აშენება, მაგრამ მოსახლეობამ ამის საშუალება არ მისცა. მოძალადეებმა ის მაინც მოახერხეს, რომ ეკლესიის ნანგრევებიდან ძვირფასი, მოჩუქურთმებული ქვები, ქართული წარწერებით, სოფლის ქვედა უბანში მეჩეთის საძირკვლად და საყრდენ კედლებად გამოიყენეს. ამ კედლებზე ახლაც შემორჩენილია ჯვარი და ქართული წარწერები. ქაშუეთის ეკლესიით ქართველთა დიდი მეფე თამარც დაინტერესდა.

- ამ ფაქტზე აუცილებლად იქნება ლეგენდაც...

- დიახ, სოფელში (მისი არსებობის დღიდან) არსებობს ლეგენდაც: ჯორჯე ამხედრებული თამარ დედოფალი სხალთის დიდ ტაძარში მიბრძანდებოდა სალოცავად. გზად უთქვამს, ერთ ღამეს ქაშუეთში გავათავოვო (ჯაბნძეხელში, იგივე ქაშუეთში სადაც სოფლები უძველეს ქრისტიანულ საფლავებს დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან). ფეხზე დამდგარა სოფელი, დედოფალს საკადრისად დაგვხდეთო. კაცები ბუხრიდან ცეცხლს იღებდნენ და ქარს ესროდნენ, ქარი უკან წავა და დედოფალი არ შეუხდებოდა.

ქაშუეთის ხალხებს აგებდნენ. საღამო ხანს მობრძანდა მეფე თამარი თავისი ამალით ქაშუეთს. დიდი კოცონი გაუმართავთ სოფლის მცხოვრებთ, სანთლების შუქი აჩრადდებოდა არე-მარეს. მოპირდაპირე მთა-ბეჭობებიც განათებული ყოფილა დედოფლის პატივსაცემად. წაბრძანების უამს თამარმა ქაშუეთელებს ჰკითხა, ჩემთან რა სათხოვარი გაქვთო? დაუჩოქა მთელ სოფელს: მეფეო, იმაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება ჩვენთვის, ვიდრე თქვენი სტუმრობააო. დალოცა თამარმა ქაშუეთი და გაემგზავრა სხალთის ტაძარს. მას შემდეგ ქაშუეთის თამარის დალოცვილი სოფლის სახელი შემორჩა. საიდან არ მოდიოდნენ თამარ დედოფლის ნაფეხურთა სამბოროდ და იმ ადგილის მოსალოცად, სადაც თამარმა მცირე ხნით მიიძინა. ასეთი ისტორიის მქონე ქაშუეთს მართლაც სჭირდება ყურადღება და მზრუნველობა.

- და როგორია დღეს ამხრევი საქმე?

- საბედნიეროდ, დადგა დრო, როცა ამ საქმეს მართლაც მიხედეს. 2013-2017 წლებში შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელად დაინიშნა ისტორიკოს-მკვლევარი,

- გავაცანით რომელიმე.

- ასეთი იყო ხუსეინ ევგენი თავდგირიძე, რომელმაც უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბოლში მიიღო და სულთნის ხელისუფლებაში მრჩეველად დარჩენა შესთავაზეს, არ დათანხმდა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა. ხუსეინი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელმაც ორი - მუსლიმანური და ქრისტიანული აღმსარებლობის ადამიანებს თანაცხოვრების, ურთიერთპატივისცემის, სოფლის წინსვლისთვის ერთად ბრძოლის მაგალითი უჩვენა. აჭარის მთიანეთში ერთ-ერთმა პირველმა, ქართული სკოლა საკუთარ სახლში გახსნა. მასწავლებლად მეზობელი გურიიდან კალანდარიშვილი მოიწვია, თავის სახლში დააბნავა და ასე აზიარა ქაშუეთელი ბავშვები გოგებაშვილის „დედადასა“. საგულისხმოა, რომ თანასოფლელებისგან ერთ-ერთად მეთხოვრე ნაეკლესიარის ორივე მხარეს არსებული ქრისტიანული და მუსლიმანური სასაფლაოების მოვლა-პატრონობას. არც ნაეკლესიარის ნანგრევები რჩებოდა ყურადღების გარეშე. ყოველივე ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოფლის დღევანდელ თა-

ბას. სოფელს სახელი გაუთქვეს ქაშუეთის მკვლევარმა მეცნიერებმა, პროფესორებმა ნიაზ ზოსიძემ, რეზო ზოსიძემ, რომან ზოსიძემ, ნატო ზოსიძემ, ნუგზარ ზოსიძემ, ანზორ აბუსელიძემ, გენადი ივანაძემ, მურმან მუკუტაძემ და სხვებმა. ჯაბნძეხელს ჰყავს შესანიშნავი ინტელიგენცია, ერთ მუშტად შეკრული პედაგოგიური კოლექტივი, სხვადასხვა პასუხსაგებ პოზიციასზე მომუშავე ადამიანები, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სოფლის წინსვლასა და აღორძინებაში. მათ კარგად იციან, რომ საქართველოს ყველა კუთხის ბლაგვარია ქართული ეკლესია. ჯაბნძეხელშიც თავიანთ ბლაგვარად ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებს თვლიან. მისასალმებელია, რომ ეკლესიის არქეოლოგიური შესწავლი-სთვის რიგი სამუშაოები გაწეულია, მაგრამ წინ უფრო დიდი ამოცანებია, ეკლესიის წიაღში კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება. საქართველოში მეცნიერული გამოკვლევა. სოფელს დასჭირდება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ქმედითი დახმარება, რათა გაგრძელდეს ნაეკლესიარის ღრმა არქეოლოგიური შესწავლა. ამასთან, უნდა მოხდეს მისი კონსერვაცია. კარგი იქნება, თუ გაითვალისწინებთ თხოვნას, მიმდებარედ აშენდეს ახალი ეკლესია და მას მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ეს შექმნის შესაძლებლობას, რომ ქაშუეთი ერთ-ერთი თვალსაჩინო ტურისტული ადგილი გახდეს საქართველოში.

ფილმის გადაღება დაიწყო მირკვიდფინალისტიკაში სწოხილია

1929 წელს აჭარაში მომხდარი ამბოხის შესახებ, რომელიც ქაშუეთის ჩადრის ტარების და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, მწერალი, რეჟისორი ვახტანგ გოგრაძე ფილმს იღებს. გადაღებები ჯვანის ხეობის სოფელი ტაიციხეში დაიწყო. სწორედ ეს სოფელი იყო აჯანყების ეპიცენტრი



ავარია, არ ავცდეთ იმ წელს მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. სწორედ რომ გსურს ადამიანების აქტიურობით მონაწილეობა ნაკლები იყო. უყურადღებოდ არ დაგვრჩება ადგილობრივი ქალების, გამოჩენილი ნაღვალის ფაქტორი (ფადიშვილი) ხილაძისა და ჯვანელი აიშე მასხუ-რაძე-ამალოზების თავდადება - პირველმა ჩადრი ცეცხლს მისცა,

მეორემ კი აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დატყვევებულ წევრებს ლუკმა გაუნაწილა. ისინი სიცივეში, ნახევრად შიშვლები და მშვირები, მეჩეთის შენობაში იყვნენ გამოწყვედეულები. ვახტანგ გოგრაძეს ფილმისთვის სახელი გერჩეობით არ შეუ-რჩევია.




სადაც სპორტული ბაზა ნორმალურია, იქ ასპარეზობებიც ხშირად იმართება და მაყურებელიც ბევრი ჰყავს. დაბა შუახევიში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის მოედანი გაიხსნა თუ არა, შეგიბრებთაც მეტი დრო დაეთმო. ამჟერად არენა შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს დაეთმო. თამაშებში, რომელიც ოლიმპიური სისტემით წარმართა, 20-მდე საჯარო სკოლის გუნდები ჩაერთო. უკვე გამოიკვთა მერვედფინალისტიკა. როგორც ორგანიზატორი, ა(ა)იპ „შუახევის სპორტული ცენტრის“ დირექტორი რამინ ჯიბიძე აცხადებს, ტურნირი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულთა მოხსენიების დღეს ეძღვნება. ფინალური ორთაბრძოლა 8 აპრილს გაიმართება.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

ბედნიერი მამონა, როსა ნერს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მარიამ მამონა დიდ ლიტერატურაში პირველ ნაბიჯებს დგამს და წარმატებითაა ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულმა და ლიტერატურულ ჟურნალ „პირველი სხივი“ დაბეჭდილმა მისმა ლექსებმა მკითხველის ყურადღება მიიპყრო. და მინდა, რა გამოარჩევს ამ ახალგაზრდა კალმოსანს თანატოლებიდან, რატომ მოვიწვიეთ გულახდილი საუბრისთვის? - ამ კითხვებზე პასუხებს ინტერვიუში იპოვიო.



თქვენი ლექსები ლიტერატურულ აღმანახში „პირველი სხივი“ დაბეჭდა. როგორ შეხვდა მას მკითხველი?

- უცნაურია, თუმცა, როგორც წესი, ჩემი ლექსების დაბეჭდვის ამბავს ან მეგობარი ავტორებისგან ვიგებ, ან თავად შემთხვევით წავაწყდები ხოლმე. ახლაც მოულოდნელად აღმოვჩინე ამ ლიტერატურულ აღმანახში, რისთვისაც დიდი მადლობა გიორგი ლომუხანიძეს. რაც შეეხება უშუალოდ კითხვას, იმის თქმა, რომ მკითხველთა აზრი ჩემამდე ყოველთვის მოდის, არასწორი იქნება. ისე კი, სასიამოვნოა, როცა შენს ლექსებს კითხულობენ. ინდივიდუალური ცუდი არასდროსა,

წარმოგიდგინეთ საკუთარი თავი, ვინ არის და რა სურს ლექსების ავტორს?

- მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა მიჭირს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მარიამ მეტყვეს უყვარს მხატვრული ლიტერატურა და ხანდახან ზურგჩანთითაც დააქვს, გზაში საკითხავად, წიგნები. მეგობრები ბენჯამინ ბატონის ეძახიან, თუმცა ამის მიუხედავად, ვერ პატარავდება და ვერც ბავშვობას იბრუნებს. მიხარია, თუ ჩემი ლექსები ვინმეს ყურადღებას იქცევს. ვცდილობ, სურვილები და აზრები შესაძლებლობების პირდაპირპროპორციული იყოს და შესაბამისად, როგორც „ლექსების ავტორს“, მაქვს სურვილი, იმ ემოციის გადმოცემა შევძლო, რასაც წერისას განვიცდებ.

თქვენს ლიტერატურული თაობა - რა გამოგარჩევს, რას სთავაზობს მკითხველს „სულის პურად“?

- ყველა თაობას ჰქონდა თავისი წილი შანსი, „შეუძლებელი ეცადა“. ზოგადად, ადამიანებს შეუძლებლის მიღწევის მცდე-

არ არსებობს ეპოქა, რომელშიც რაღაც მოძრაობა მაინც არ შეინიშნებოდა. მართალია, ადამიანებს ცეცხლს ვეღარ მივუტანთ, ეგ დაგვასწრეს, მაგრამ შეიძლება მოვუტანოთ ახალი ხედვა, აზროვნება, რაც, იმედია, ჩანს კიდევ ჩვენს ნაწერებში. არ ვიცი, „სულის პურად“ მკითხველისთვის რაიმეს შეთავაზება შეგვიძლია თუ არა, მაგრამ ვისაც დასჭირდება, აუცილებლად „მივუტანთ წყალს“ - ამის მჯერა

ლობები გვაქცევს იმად, ვინც ვართ. ჩვენც ვცდებით, მაგრამ შეგძლებოთ თუ არა რაიმეს, ეს მერე გამოჩნდება. ასე მოხდა იმ თაობის შემთხვევაშიც, „დაკარგული“ რომ დავაპრევი, ასე ხდებოდა სულ. არ არსებობს ეპოქა, რომელშიც რაღაც მოძრაობა მაინც არ შეინიშნებოდა. მართალია, ადამიანებს ცეცხლს ვეღარ მივუტანთ, ეგ დაგვასწრეს, მაგრამ შეიძლება მოვუტანოთ ახალი ხედვა, აზროვნება, რაც, იმედია, ჩანს კიდევ ჩვენს ნაწერებში. არ ვიცი, „სულის პურად“ მკითხველისთვის რაიმეს შეთავაზება შეგვიძლია თუ არა, მაგრამ ვისაც დასჭირდება, აუცილებლად „მივუტანთ წყალს“ - ამის მჯერა.

მით უფრო, პოეზიაში. მოსახოვო მკითხველს, შენი სათქმელი გაიგოს, მართებული სულაც არ მგონია.

რა აზრის ხართ თანამედროვე კონკურსებზე, ფესტივალებზე?

- ჩემთვის კონკურსები აქამდე არასდროს ყოფილა არც გამოწვევა და არც რაიმეს წარმოჩენის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ფესტივალებისა თუ კონკურსების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მით უფრო მაშინ, როცა ვთვლი, რომ თანამედროვე ავტორებს სჭირდებათ შესაბამისი ყურადღება. ის, რომ აქ და ახლა წერ, არ ნიშნავს, რომ აუცილებელია გაქრე, დაიკარგო და საუკუნის მერე ვიღაცის თაროზე შემთხვევით აღმოჩნდეს შენი წიგნი.

წარმოგიდგინე ქრისტეს ჭვარცმა, როგორც ქალის, ჩემი მეგობრის, ლამაზი იყო. მელაპარაკა, მკვლარ ფულტრებზე, მკვლარ ყვავილებზე, ცოტა მასზე მელაპარაკა... ახლა პროზაულად განაგრძეთ ეს ლექსი.

- პროზის წერა არ მიცდია, ალბათ, ახლა ამის გაგრძელებაც არასწორი იქნება. ამ ლექსით კი უკვე ვთქვი ის, რისი თქმაც მინდოდა.

შთავონების წყარო, განცდა, რომელიც

რეალობისა და გამოწვევის შერწყმისას გეუფლებათ?

- როგორც უნდა ვატყუო საკუთარი თავი, რომ რაღაც არ გამოიმცდია და მასზე წერა „ტექნიკურად“ შედეგი, ან როგორც უნდა სურდეთ ამის დაწერება ადამიანებს, არაფერია გამოგონილი (მერი უელის მერე ეგ თავისთავად რთულია). სხვა შემთხვევაში, წერას არც აზრი ექნება და არც შედეგი. რეალობა ის, რაში ცხოვრებაც მიწევს და ბევრი გაგებით, მსიამოვნებს კიდევ. არ მგონია, მეოცნებობა იყოს წერის აუცილებელი პირობა, მით უფრო მაშინ, როცა ბუკოვსკი და ჰენრი მილერი არსებობენ...

როგორ ხარ? ამ შეკითხვის დასმა უყვართ ადამიანებს, თქვენ?

- არც ამ შეკითხვის დასმა და არც მასზე პასუხის გაცემა მიყვარს. ეს კითხვა გულწრფელი იშვიათადაა და მხოლოდ რაიმე ვითარებას აზუსტებს. ჩვეულებრივ, კარგად მყოფ ადამიანს არ ეკითხებიან, როგორაა. თუ ამ კითხვას სერიოზულად ვსვამთ, ესე იგი, ვფიქრობთ, რომ კითხვის ადრესატს რაღაც უჩვეულო ან ტრაგიკული სჭირს და ავტომატურად უნდა შეგვეცოდოს. მათ, ვინც გვეცოდება, თანასწორად ველაპარაკდებით ადვილად. კარგად მყოფ ადამიანებს კი, როცა ატყობენ, რომ ისინი კარგად არიან, ამას არასდროს ეკითხებიან, რადგან სხვისი სიხარულის გაზიარების გვეშინია. ეს არც მოწოდებაა და არც რაიმეს შეცვლის მცდელობა, ჩემი აზრია, რომელიც შეიძლება ბევრმა არასწორად აღიქვას. მიუხედავად ამისა, კონტექსტი მნიშვნელოვანია.

მოგიყვებით, სად და როგორ სწავლობთ...

- 2023 წელს ჩავაბარე თავისუფალ უნივერსიტეტში მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამაზე და პირველ კურსზე ვარ. მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, სწავლის პროცესი ჩემთვის ორმაგად საინტერესოა გარემოს, ლექტორებისა და იმ ადამიანების გამო, რომლებსაც მეგობრულად ვთვლი. როცა საქმე „ცოდნა, შრომა, თავისუფლებას“ ეხება და მეტიც, ესაა ამ უნივერსიტეტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის, მიწვევს, შესაბამისი ცოდნაც დაეგროვოს, ვიშრომო კიდევ და თავისუფლებას ასე მივალწყო.

ციფრული სამყარო და თქვენ... თქვენი ციფრული ორეულის ატვირთვის ისურვებდით ინტერნეტში?

- რაც მეტი დრო გადის და რაღაცები ჩემ გარშემო იცვლება, თანდათან უფრო ტრივიალურად მეჩვენება სოციალური პლატფორმები. ნაკლებ დროს ვატარებ, როგორც წესი, ამ სივრცეში. ეს არ გამოიტყვას, რომ „ციფრული სამყარო“ იდეა ჩემთვის უცხოა. ორეულს რაც შეეხება, თუ ჩემნაირი უნდა იყოს, არ ღირს, არც საკუთარი თავისთვის და ალბათ, არც მათთვის, ვინც მიცნობს.

როცა მარტო რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?

- როცა მარტო ვრჩები (და არც ისე იშვიათად ვრჩები მარტო), რაიმე კონკრეტული, რაზეც მეფიქრება, არ არსებობს. ჩემს ფიქრებს არც ფორმა აქვს, არც აგრეგატული მდგომარეობა და არც სინათლის სიჩქარე. ასე უფორმოებს, უსახელოებს ხან ვებრძვი, ხან ვიღებ, როგორც მოცემულობას. ოთარ ჭილაძე წერს, რომ ფიქრის უფლება ყველაზე ძვირი. რაც მთავარია, ფიქრის უფლება მაქვს, დანარჩენი ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ზოგჯერ შეიძლება საკუთარმა ფიქრმა ისე შემაშინოს ან ამაღლგოს, რომ კარგა ხანს ვერ დავუბრუნდე რეალობას.

თქვენს საუკეთესო თვისებად რას თვლით?

- წარმოადგენა არ მაქვს, რა შეიძლება იყოს ჩემი არათუ საუკეთესო, არამედ კარგი თვისება. ჩვენი საზოგადოება არარსებული ცნებების ერთგულია, ყველაფერს ისეთ სხეულს არქმევს, როგორც კონკრეტულ წესრიგს, „კანონს“ შეესაბამება, მაგრამ თუ გავიზრებით, რომ კანონები მათემატიკაში უფრო გამოსადეგია, მივხვდებით, რაღაცები სწორ-აზოვნად „სწორი და კარგი“, რაღაცები კი „არასწორი და მიუღებელი“ ვერ იქნება. მაინც, თავისუფლების სიყვარული მგონია ის, რაც მაცოცხლებს და უნარი, ვწერო, გადავრჩე.

საყვარელი მწერალი, პოეტი...

- ამ კითხვას ბევრი მიზეზის გამო ვერ ვუპასუხებ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჩემი შეხედულებები ხშირად იცვლება. შეიძლება აღმოვაჩინო ახალი ავტორი, რომელმაც სხვა რამე დამაინტერესოს, ის, რაც ცხოვრების იმ კონკრეტულ ეტაპზე მნიშვნელოვანია. მხოლოდ ის ვიცი, რომ გამორჩეული ავტორები ცხოვრობენ დღეს, თუნდაც ჩემ გარშემო და მიხარია მათი კითხვა. ამას სახელის დარქმევა არ სჭირდება. შეიძლება, მომეწონოს ერთი ფრაზა და ამ ფრაზამ რაღაც სრულიად შეცვალოს.

სამაგიდო წიგნი?

- იმავეს ვიპასუხებთ ამ კითხვაზეც. არჩევანის გაკეთება არასდროს ყოფილა ჩემი ძლიერი მხარე, მით უფრო მაშინ, როცა საქმე წიგნებს, მათ განსაკუთრებულობაზე საუბარს ეხება. ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში თავისუფლების ისეთი გაგება შემოგთავაზებს, სადაც „რაღაც ავირჩიე“ არ არსებობს. მეც მათი იდეების ერთგული ვრჩები.

ყველაზე ბედნიერი სად და როდის ხართ?

- წარმოადგენა არ მაქვს, ბედნიერება როგორია. ჩვეულებრივ, რაღაცები გვიხარია, თუმცა ამ სიხარულსაც აქვს რაღაც „გადა“. ერთ ლექსში წერს პაატა შამუგია, როცა კარგად ვარ, უბედურების მიზეზს ვეძებ იმისთვის, რომ ვწერო. მეც სადაც აქ ვარ. ბედნიერი ვარ მაშინ, როცა ვწერ, რაც პარადოქსულად, უბედურებაცაა.

დაბოლოს, დასეთ კითხვა, რომელზეც პასუხს აუცილებლად მიიწინებ...

- კონსტანტინოს კავაფისი თავის ლექსში „ბარბაროსების მოლოდინში“ წერს, რომ როცა გაქრება რაღაცის გასამართლებელი მიზეზი, ადამიანები სვამენ კითხვას: ახლა რაღა ვქნათ?... ჩემი კითხვა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან ასე უღერს: „მარიამ, ახლა რაღა ვქნათ?“

„ჩემი სარკმელი ხან სვლიანია, ხან - მზიანი“

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ლექსების კრებულის ავტორი **ნანა აბულაძე**.

ქალბატონო ნანა, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე შუახევში სხვადასხვა თაობის ქალ პოეტებთან გამართულმა საღამომ?

- ამ საღამომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ამიმაღლა მოტივაცია, რომ უფრო მეტი ვწერო. ბევრი შინაარსიანი საჯარო საღამოს მონაწილე ვარ და ეს შეხვედრაც მათ რიცხვშია. 2007 წლის 23 აპრილს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მიგვიწვიეს სამი ახალგაზრდა პოეტი: მე, გიორგი გაბაიძე და პაატა მელაძე. მასხოვს, მსახიობებმაც წაიკითხეს ჩვენი ლექსები. აჭარის მწერლებმა შეგვიფასეს შემოქმედება და გზა დაგვილოცეს. დაუფიქრებელი იყო, ასევე, 2014 წელს ხულოს ბიბლიოთეკაში გამართული ჩემი პოეზიის საღამო. დიდი ემოციებით ამავსო წიგნ „ავტორაფის“ წარდგენამაც, რომელშიც



აჭარის სხვა ცნობილ პოეტებთან ერთად, ჩემი ლექსებიც არის შესული. ამ წიგნის პრეზენტაცია შარშანს, დეკემბერში გაიმართა.

უჩხო, მისი ისტორია და სახელოვანი ადამიანები რა ადგილს იჭერენ ნანა აბულაძის შემოქმედებაში?

- ვამაყობ ჩემი სოფლით, მისი სილამაზით, ადამიანებით, უჩხოს თაღოვანი ხიდი კი ჩემი შთაგონების წყაროა.

წლებია, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ხართ. თქვენს გზას თუ გააჩვენებთ თქვენი მოსწავლეები?

- ჩემი აღზრდილი ხუთი მოსწავლე დღეს პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

რა ასაკში მიიტანეთ პირველი ლექსები ადგილობრივ გაზეთში?

- 17 წლის ვიყავი, ჩემი ლექსები და ჩანახატები გაზეთ „ხულოში“ რომ დაიბეჭდა. ამავდროულად, ვაქვეყნებდი წერილებსაც. ჩემი ლექსების პირველი შემფასებელი გაზეთში ნარგი დეკანაძე იყო, აჭარის მწერალთა სახლში - უუუუუა შაინიძე.

ოჯახში რამდენი შვილი იზრდებოდით?

- ოთხი. აქედან 3 პედაგოგი ვართ, მომავალი თაობის აღზრდას ვემსახურებით.

გაბრაზებულს, ან ცხოვრებით დამიძიმებულს მუზა თუ გაკითხავთ?

- როცა კარგად ვარ - იშვიათად, როცა მტკივა, სწორედ მაშინ ვწერ.

რომელიმე ღონისძიებაზე სხვისი ლექსები საჯაროდ თუ შეგიფასებიათ?

- მხატვრული კითხვის კონკურ-

სზე უიურის წევრი ვიყავი, რაც შეეხება ნაწარმოების საჯაროდ შეფასებას, აზრი არ გამომიტყვამს.

კრიტიკას როგორ შეეხებებით?

- კრიტიკა აუცილებელია, მივესალმები კრიტიკულ მეგობარს, რომელსაც ჩემთვის კარგი სურს, მივიღებ მისგან რჩევებს და რეკომენდაციებს.

ლექსების პირველ კრებულს რა სახელი შეურჩიეთ?

- პირველ კრებულს „ჩემი სარკმელი“ ჰქვია, ჩემს ლექსებში ხშირად შეხვდებით ამ ორ სიტყვას. ეს სარკმელი ხან სეფიანია, ხან - მზიანი. ის ჩემს ცხოვრებას ასახავს.

ქალი პოეტის ლექსები სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. გაისინეთ პირველი ლექსი, რომელიც ამ ფენომენს მიუძღვნათ.

- შენ ჩემი ლექსები მოგწონდა, მე - შენი თვალის ფერი, შენ ჩემი ტვალული დაქვონდა, მე - სიყვარული შენი. მე შენი ღიმილი მიყვარდა, შენ - ჩემი ლექსების სიტობო, მე შენი ბავჯან ნათქვამი სიტყვებიც მიყვარდა თითქო.

მერე რა მოხდა - არ ვიცი,

წარსული ლანდებდა გაქრა...

შენ ქერა ასულზე დარდობდი,

მე კი ცრემლები მკლავდა.

ტალღებიც დადუმდნენ შავი

ზღვის,

ვიდექი ნაპირზე მარტო.

რატომღაც კვლავ შენზე

გვიჭირობდი,

თავდაც არ ვიცი, რატომ.

- სიყვარულთან მისგლა ხომ არ დაგაგვიანდა?

- ვფიქრობ, არა.

- ბოროტებაზე გამარჯვება როგორ არის შესაძლებელი?

- სიყვარულით და სიკეთით.

- საკუთარ ლექსებს მოსწავლეებს თუ უკითხავთ?

- ისინი თავად მოხვდები, რომ წავუკითხო.

- ბოლოს დაწერილი ლექსი რას ან ვის ეძღვნება?

- ფოთოლცვენას, რომელიც ძალიან მიყვარს და ძალიან მტკიავა.

ყვითელი ფოთლებით ივსება

ქუჩები,

დღეები ლამაზი და სევდისფერია, ქარია... მზისფერი თან მიაქვს ფოთლები, ყველაზე ლამაზად ფოთლები კვდებიან...



აღიარებული მესნიერი და ორბანიზატორი

2 აპრილს 80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ბიჭვინტაძეს

იგი 1961 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1964-1967წ.წ.) იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1970 წელს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ანდრო ნიჟარაძის რეკომენდაციით, მუშაობა დაიწყო აღნიშნულ ინსტიტუტში.

გურამ ბაპუნაძემ 1974 წელს წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს და ირიცხება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მედიკინის კათედრის ასპირანტურაში, წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1979 წლიდან დაიწყო გურამ ბაპუნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც აკადემიკოს სერგი ღურგულიძის და სხვა მეგობრებთან ერთად მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერების იდეებზე აღზრდილი, პროფესორ ანდრო ნიჟარაძის გადაწყვეტილებით და ამავე ინსტიტუტის საცდელ-საკონსტრუქციო ბიუროს ხელმძღვანელის, ცნობილი კონსტრუქტორის ელგუჯა შველიძის რეკომენდაციით, თავის მშობლიურ მხარეში, აჭარაში კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორად დაინიშნა.

1980 წელს, როცა საკავშირო სამთავრობო სტრუქტურების გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა საკავშირო-რესპუბლიკური ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო, სხვა სტრუქტურებთან ერთად, მასში გაერთიანდა ინსტიტუტის ბათუმის ფილიალიც. როგორც წესი, ფილიალი არ შეიძლება დარჩენილიყო დამოუკიდებელ სტრუქტურად, თუმცა იმ დროს ძალზე რთული, მაგრამ სხვა უფრო პროგრესული გზაც არსებობდა - ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა.

გურამ ბაპუნაძის მოღვაწეობის დახასიათებისას მართო ისიც კმარა, რომ მან აირჩია სწორედ ყველაზე რთული გზა - ბათუმის ფილიალის ბაზაზე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

პროფესორ ანდრო ნიჟარაძის ინიციატივით იგი ახლო კონტაქტებს ამყარებს მოსკოვში მოღვაწე ცნობილ მეცნიერებთან, მათ შორის, პროფესორებთან ჟუმბახაძესთან, ბოკუჩავასთან, მეტლიუცისთან, ციგაქესთან, ბაგატარიანთან და სხვა, ასევე, თბილისში მოღვაწე შესანიშნავ მეცნიერთან, პროფესორ გივი მაყაშვილთან.

1981 წელს სსრკ-ის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით, ბათუმის ფილიალის ბაზაზე შეიქმნა სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამამუშავების სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქციო ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც დაინიშნა აკადემიკოსი გურამ ბაპუნაძე.

გურამ ბაპუნაძემ, პირველად სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის (მანდარინი) სამრეწველო გადამამუშავების ისტორიაში, შემოშავა და წარმოებაში დანერგა მანდარინის ნატურალური წვენების კონცენტრატების დამზადების ტექნოლოგია. საწარმოო პროცესში გამოიყენეს მოქმედი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარები. უნარჩუნო და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიის დანერგვამ უზრუნველყო მაღალი ეკონომიკური ეფექტის მიღება. მისი გამოყენებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში ყოველწლიურად 100 ათასობით ტონა მანდარინის გადამამუშავება მოხერხდა. მანდარინის ნატურალური წვენების კონცენტრატების წარმოების უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალი ტექნოლოგიით მნიშვნელოვნად მცირდებოდა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები. მიწოდებული კონცენტრატების საცალო სავაჭრო ქსელში რეალიზაციის ეფექტური პროცესის დანერგვის მიზნით, გურამ ბაპუნაძემ შეიმუშავა კონცენტრატის ადგილობრივი წარმოება, მან წარმატებით დაამუშავა და წარმოებაში დანერგა მანდარინის ნატურალური წვენების დამზადების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების (ე.წ. მეორადი ნედლეული



ის) გამოყენების ტექნოლოგიები. წვენების წარმოების პროცესში მეორადი ნედლეულის მოცულობა 60%-ს აღემატება, რომლის გამოყენებამაც მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოების რენტაბელობა, მოგება და შემოსავალი; ბატონი გურამის ხელმძღვანელობით შემუშავდა ტექნოლოგია, რომლითაც ნარჩენების გადამამუშავებით, კომპლექსურად მიიღებოდა სამედიცინო პრეპარატი ვიტამინი P და პექტინი, ასევე, ე.წ. კონდირებული, ცუკრის ტიპის შაქრით გაჯერებული პროდუქტი, რომელიც თავისუფლად ცვლიდა ყურძნის ქიმიურს და წარმატებით გამოიყენებოდა რძის, საკონდიტრო და ნაყინის წარმოებაში. ზემოთ აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე, 1996 წელს გურამ ბაპუნაძემ ციტრუსების ნედლეულის სამრეწველო გადამამუშავების მეცნიერული საფუძვლებისა და საწარმოო ათვისების პრობლემებზე დაიწყო სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სადოქტორო დისერტაციის ოპონენტები იყვნენ აკადემიკოსი გიორგი კვეციანიძე და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნუგზარ ბალაოურია და თენგიზ ნანიტაშვილი. 1998 წელს გურამ ბაპუნაძემ აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2013 წელს - აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ბატონი გურამის განსაკუთრებული შენაძინა მეცნიერებაში ციტრუსის ყვავილის, როგორც არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგია. მისი შემუშავების მიზანშეწონილობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მცენარის ყვავილის 6-10% იძლევა მოსავალს, ხოლო დანარჩენი, 90%-ზე მეტი, იკარგება. რაც შეეხება თვით ნედლეულის მოცულობას, გამომდინარე ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობიდან, იგი საკმაოდ დიდია. მისი გამოყენება გონივრულად ზრდის მემცენარეობის დარგის რენტაბელობას, მიწათსარგებლობის ეფექტურობას. ყვავილის ნედლეული მდიდარია სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური და არომბურული ნივთიერებით. შემუშავებული ტექნოლოგიის გამოყენებით, მიღებულ იქნა წყლიანი არომბურული ექსტრაქტები, რომლის ბაზაზეც დამზადდა სასაქონლო ვაჟინი, უალკოჰოლო ვაზირებული სასმელი „არომბურული“, ხელოვნური თაფლი, ორიგინალური გემური მანძასათებლის ლიქიორი და სხვ. აღნიშნული ტექნოლოგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს მეცნიერების დარგის რეაბილიტაცია-განვითარების პროგრამის განხორციელების პროცესში, რადგანაც ფართოდება მეცნიერების დარგის მიერ მომხმარებელზე მიწოდებული პროდუქტების ასორტიმენტი და ნომენკლატურა. ამასთან, ყვავილის რესურსი ყოველწლიურად სტაბილური რაოდენობით ხასიათდება, განსხვავებით ნაყოფისაგან.

თანამედროვე მკვლევართა შორის სულ უფრო იკიდებს ფეხს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ მილიონობით ქიმიური სამკურნალო პრეპარატის და ეკოლოგიურად სახიფათო საკვების პროდუქტების გავლენამ ადამიანის ორგანიზმზე, მრავალი თავსატეხი გაუჩინა პრაქტიკოს თუ მეცნიერ მედიკოსებს. ადამიანი იძულებული გახდა საკვები და სამკურნალო პროდუქტებისათვის ისევე ბუნებისთვის მიემართა. აქედან გამომდინარე, არ იყო შემთხვევითი, რომ გურამ ბაპუნაძის თანხმობით, მეცნიერთა ჯგუფმა დაამუშავა ბუნებრივ პირობებში გავრცელებული ველურად

მზარდი მცენარეების (მოცივი, გარეული ხილი, მავალი და სხვ.) ტრადიციული და არატრადიციული სხვადასხვა ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიები. მიღებულია საერთო მოხმარებისა და სპეციალური დანიშნულების გამოყენების მაღალ კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტები, რომელთაც დიდი პერსპექტივა გააჩნიათ სამომხმარებლო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამ ტექნოლოგიების დანერგვა მცირე და საშუალო ბიზნესში. მანვე განახორციელა „სტევიას“ კულტურის საქართველოში გავრცელებისა და გამოყენების შესაძლებლობათა დადგენის მეცნიერული კვლევები და პრაქტიკული საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოები. ამ მიმართებით, 2000 წელს, გურამ ბაპუნაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, შემუშავდა პროექტი, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო დაფინანსება მსოფლიო ბანკიდან. პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, პატარა ფოთში, 2 ჰა ფართობზე გაშენდა „სტევიას“ კულტურა, რომლის გამოყენებით დამზადდა წყლიანი ექსტრაქტი, ასევე, მშრალი ექსტრაქტი, ე.წ. დამატკობელი „სტევიონიდი“, რომლის შაქრისთანაა 100-300-ჯერ აჭარბებს ჩვეულებრივი შაქრის სიტკბოს. დამატკობელი არაკალორიულია და რეკომენდებულია დაბეჭდით დაავადებულთათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებით.

განუზომელია გ. ბაპუნაძის, როგორც მეცნიერისა და ხელმძღვანელის ღვაწლი, ამაგი და დასახურება საქართველოში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის სამრეწველო გადამამუშავების თეორიული საფუძვლების შესწავლის, აჭარაში ფართომასშტაბიანი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის, ტრადიციული და ისტორიული დარგის მეგობრებთან-მედიკოსების აღორძინების საქმეში.

ბატონი გურამი ხშირად ეცნობა, სწავლობს და პრაქტიკაში იყენებს ევროპისა და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, ფართო კავშირებს ამყარებს ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. გამოცდილების შეძენის მიზნით, იგი ეწევა კუბის რესპუბლიკას, კალიფორნიას (აშშ), სადაც ქალაქ დევიდის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, საბერძნეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებს და დარგის წამყვან დაწესებულებებს. იწვევს მათ აჭარაში, აცნობს რეგიონში არსებულ პრობლემებს და მათთან ერთად წვეგებს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე აქტუალურ და საჭირო პრობლემებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საკავშირო უწყებებზე დაქვემდებარებული, უკვე „უპატრონოდ“ დარჩენილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის, სუბტროპიკული ნაყოფის მეცნიერული და გადამამუშავების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუმცა, გ. ბაპუნაძის ორგანიზატორული ნიჭით, უშრეტო ენერჯით, მუყაითი და მიზანსწრაფული შრომით, ინსტიტუტში განხორციელებული რიგი სტრუქტურული და ფუნქციური გარდაქმნების შედეგად, დაწესებულებას შეუნარჩუნდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უფლება. ინსტიტუტში, დასაქმებული იყო 350-ზე მეტი მეცნიერი, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტი და დამხმარე პერსონალი; უმოკლეს პერიოდში დაამუშავდა 100-ზე მეტი ახალი მოწინავე ტექნოლოგია, გამოსცადეს რამდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალება; საკითხების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ღრმა მეცნიერული გამოკვლევების შედეგად, ახალი რეკომენდაციებით და წინადადებებით აღჭურვეს გადამამუშავებელი საწარმოები და იქ მომუშავე პერსონალი.

ახლო წარსულში, „ერთიანი ნაციონალური“ ხელისუფლების პერიოდში, განათლებითა და მეცნიერების სფეროში განხორციელებულმა არასწორმა რეფორმამ, თავისი გამოხატულება პოვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიმართ დაშვებული სავალალო შეცდომებში - მეცნიერთა და კვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა 40-50 კაცამდე შემცირდა, მათ შორის, 21.5 შექტარამდე მიწა, შეინახა-აგებობების მთელი კომპლექსი თავისი დამხმარე მეურნეობებით პროვატიკული იქნა, გაჩანაგდა და უსარგებლო გახდა

მილიონობით ლარის ღირებულების მოძრავი ქონება და სხვა.

მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა საკავშირო დაქვემდებარების ბათუმის მეგობრული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი ერთადერთი იყო საქართველოში, რომელიც ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევებს აწარმოებდა სხვადასხვა მიმართულების მეგობრული ტექნოლოგიის საკითხებზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობითა და დახმარებით, მრავალი გარდაქმნების, ადგილობრივ კვლევების, საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შეწყვეტის, კადრების შემცირების თუ განთავსების გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ზემოთ აღნიშნული, საკავშირო დაქვემდებარების ორი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შეწყვეტის შედეგად, შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგარარული და მეგობრული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა აკადემიკოსი გურამ ბაპუნაძე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, აჭარაში ვენახის ფართობების, მოსავლიანობისა და ყურძნის საერთო წარმოების მკვეთრად შემცირების გამო, საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო პრაქტიკული სამუშაოებისადმი ინტერესი, რეგიონში მეგობრული-მედიკოსების აღორძინების პროგრამის შემუშავება-განხორციელებისათვის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივმა კომისიამ, ამ კომისიის თავმჯდომარემ გ. ბაპუნაძემ, საჭიროდ ჩათვალა, შეეფასებინათ ცალკეული ნაკლოვანებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ავტონომიური რესპუბლიკის მეგობრული-მედიკოსების წარმოებაში. ბატონი გურამის უშუალო თანხმობით, ბოლო წლებში ჩატარებული სამუშაოები, ძირითადად, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ადგილობრივ სპეციფიკასა და სამეურნეო ტრადიციებზე დაყრდნობით, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი ხელშეწყობის მიზნით, ფართო მასშტაბის საცდელ-საექსპერიმენტული სამუშაოები ჩატარდა არსებული მიწის რესურსების გონივრული გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, სხვა პროგრესული აგროტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებების შემუშავების, ვაზის ჭიშკების: ჩხავერის, ალადასურის, ოჯალეშის, ცოლიკაურის დიდი რაოდენობით ჩანსადი, მაღალხარისხიანი სტანდარტული სარგავი მასალის (ნათესარ-ნერგების) აღზრდისა და დანერგვის მიმართულებით. მეცნიერული კვლების საფუძველზე შესაძლებელი გახდა, რამდენიმე წლის განმავლობაში, შედარებით მცირე დანახარჯებით, 100 ათასობით ძირი მაღალხარისხიანი ვაზის ნერგების გამოყვანა და მოსახლეობასა და ფერმერულ მეურნეობაზე უსასყიდლოდ მიწოდება. სწორედ გ. ბაპუნაძის სახელთან არის დაკავშირებული აღნიშნულ პროცესში რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების, მუნიციპალიტეტების ჩართულობა და მათი აქტივიზაციის როლის ამაღლება. აკადემიკოს გ. ბაპუნაძის მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებებზე დაყრდნობით დაიწყო აჭარაში ვაზის ნარგავების ფართობების ზრდა, მეგობრული პროფილის საკმაოდ ეფექტური ოჯახური და ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება, აჭარაში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჭიშკიდან მიღებული ნედლეულისაგან სხვადასხვა ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიების შემუშავება... სუფრის, ბუნებრივად ტკბილი და ცქირალა ღვინოების ექსპერიმენტული პროდუქციის დამზადების მიმართულებით განხორციელებული კვლევებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე მიღებული ღვინოების ნიმუშებმა, დეგუსტატორთა და სხვა მომხმარებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბატონი გურამი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას, მათ შორის კავშირ-ურთიერთობის გაღრმავებას, სოფლად საშუალო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, მათი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სტიმულირებას. უნიკალური ქართული ღვინოების პოპულარიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკად. გ. ბაპუნაძის ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ტრადიციული ფესტივალების ჩატარება.

„ქალებს ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა გვქმნება“

ოთარ ცინაიძემ 599 85 21 14

რუსუდან შამაძე შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეა. ცხოვრებისა და შრომის საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო. პედაგოგის პროფესიასთან ერთად, იურისტის პროფესიასაც დაეუფლა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ჩანჩხლოს საშუალო სკოლის დირექტორად, არჩეული იყო შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ, თავმჯდომარედ. წინა ხელისუფლების რეჟიმთან დაპირისპირების შემდეგ, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭათის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის პედაგოგად და შუახევის რესურსცენტრის სპეციალისტად იმუშავა. თითქმის 10 წელია, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოზიციაზე საქმიანობს.



ის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის თინათინ ზოიძის არჩევა. ჩვენ ამ ნდობას საქმით უნდა ვუპასუხოთ. არ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ რა გზა გამოიარა ქართველმა, თუნდაც ჩვენი რეგიონის ქალმა, დედამ დღემდე. დღეს კი ზოგიერთები, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, ცდილობენ, თავს მოგვანვიან ქართველი ქალისა და დედისთვის მიუღებელი ფასეულობები. ჩვენი სიძლიერე, სისხლითა და ბრძოლით მოპოვებული, დღემდე მოტანილი ღირებულებების გადარჩენაშია, ეროვნული სულისკვთების გაძლიერებაშია. მე მარტო საჯარო მოხელე როდი ვარ, ღირსეული ოჯახი მყავს. 2 შვილის დედა ვარ. წუთისოფელში იმისთვის ვარ, რომ მათ ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა დავეუბნო. ჩემი თაობისთვის დალოცვნილია ძვირად ღირებული სიამოვნება იყო. რაც ჩვენ გადავტანეთ, მომავალ თაობას ვერ ვუსურვებთ. დედების შემოძახილს ყველა დროში შევძლო ერის გამოფხი-

ზლება. ახლაც უნდა შემოვუძახოთ ერთმანეთს.

- კონფერენციაზე ითქვა, რომ „ქალების ვალია, მამაკაცებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში“.

- ასეც არის და იქნება კიდევ. შუახეველი ქალები ფორუმზე ამ განწყობით ჩავედით და უკან დაბრუნებულბიც ამ განწყობით შევუდექით საქმიანობას. წინაპრების დანატოვარი მოვლა-პატრონობას ითხოვს.

- რამდენიმე საპასუხისმგებლო თანამდებობა გეჭირათ. რომელ პოზიციაზე მუშაობა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი, საქმე, რომელიც ქვეყნის მომავალს სასიკეთოდ წაადგა?

- სკოლა ჩემთვის განსაკუთრებულია, ვერ ველევი. რამდენიმე სასწავლო საათი ისევე ავიღე ჩანჩხლოს საჯარო სკოლაში. ბავშვებთან ურთიერთობით განსაკუთრებულად ბედნიერი ვარ. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: მამული, ენა, სარწმუნოება. მამულს ვპატრონობ, ენას - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ვიცავ, წინაპრების ღირსეული მრწამსი დავიბრუნე. გამარადული დედისეული სოფელია. ჩანჩხლოში ვარ გათხოვილი, მაგრამ ორივე სოფლის ეზოს ვუვლი, არ ვავერანებ.

- თანაკლასელ გენადი დიასამიძესთან ერთად შექმნილი ოჯახი, წლებია, ერთად მოდიხართ...

- არჩევანში ორივეს გავვიმართლა. კარგი შვილებიც აღვზარდეთ, ორივეს საკუთარი გზა არჩეული აქვს.

- სიმართლის მთქმელ პიროვნებად გიცნობენ. რამდენად მომგებიანია ეს?

- ჯერჯერობით, სიმართლე ამართლებს. ასევე გავაგრძელებ. ორპირობას მეგობარსაც კი ვერ ვაპატიებ.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის საგანძურის სტატუსის მისანიჭებლად სპეციალური კომისია მუშაობას იწყებს, თუმცა საბოლოოდ ახალი სტატუსი იუნესკომ უნდა მიანიჭოს. ასევე, დაგეგმილია სამეცნიერო დოსიეს მომზადებაც, რომელიც თავის დროზე მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობისთვის მომზადდება.

ლანდშაფტების ეკოლოგი იზოლდა მატუტაძე განმარტავს, რომ კვლევები 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ახალი სტატუსის მისაღებად კი დაახლოებით ერთი წელია საჭირო.

ქვეყნის ოთხ დაცულ ტერიტორიას, მათ შორის ქობულეთის ნაკრძალს 4 წლის წინ მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

მსოფლიო მასშტაბით, ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი სულ 213 უბანს აქვს მინიჭებული.

თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები დაიწყო

რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, ტრენინგები დაიწყო. დეპარტამენტის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, თეორიულ-პრაქტიკულ ტრენინგები განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანებს უტარდებათ. კერძოდ, მაგიდის სერვირება, სტუმრისთვის კერძებისა და სასმელების შეთავაზების სტანდარტები, შეკვეთის მიღების წესები, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, სტუმრების მისალმება და მაგიდასთან მიმატიყება. ეს იმ საკითხების მცირე ჩამონათვალია, რომელსაც მიმტანები ტრენინგებისას გაეცნობიან.



სსპ/სსპ/სსპ

შოთა ხარაზიშვილი

გარდაიცვალა დედაწამალი პედაგოგი შოთა ხარაზიშვილი. დაიბადა 1946 წლის 23 მარტს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა ქალაქის მე-17 საშუალო სკოლა, 1969 წელს - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 40 წელი კეთილსინდისიერად იმუშავა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში - პედაგოგად, დირექტორის მოადგილედ აღმზრდელი ობიექტში, ხოლო შემდეგ ტექნიკუმის ბაზაზე დაარსებულ ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სასწავლო ნაწილის უფროსად.



მოუნახა საინტერესოდ დაწერილი მონოგრაფიები, სტატიები უფროსალ-გაზეთებში. კეთილსინდისიერი შრომით ბატონმა შოთამ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა მოწინავე პედაგოგის სახელი. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ზემდგომ ორგანოებს - მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებული იყო: „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნითა და იაკო გოგებაშვილის მედლით; გამოცხადებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მადლობები, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო ის სიყვარული, რასაც მის მიმართ აღზრდილები გამოხატავდნენ. მისი ცხოვრება იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ემსახურო მშობელ ქვეყანასა და ხალხს.

ბატონი შოთა, კარგ პედაგოგთან ერთად, იყო გულისხმიერი, ყურადღებიანი ადამიანი. ამავე თვისებებს უნერგავდა თავის მოსწავლეებსა და სტუდენტებს. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსწავლე-ახალგაზრდობასა და პედაგოგთა შორის. შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს სამსახურბრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას. არაერთხელ იყო არჩეული მახინჯაურის სადაბო საბჭოს დეპუტატად. მას კარგად უჭრიდა კალამიც და მომავალ თაობებს შე-

ავლებლის წოდება, დაჯილდოებული იყო: „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნითა და იაკო გოგებაშვილის მედლით; გამოცხადებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მადლობები, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო ის სიყვარული, რასაც მის მიმართ აღზრდილები გამოხატავდნენ. მისი ცხოვრება იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ემსახურო მშობელ ქვეყანასა და ხალხს.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღიარებული მესნიერი და ორბანიზატორი

მე-8 გვერდიდან

ბატონი გურამი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს უმაღლესი განათლების კადრების აღზრდას. სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაციის პროგრამის და ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, 1992 წელს სამეცნიერო კვლევების პარალელურად, მან ჩამოაყალიბა უმაღლესი სასწავლებელი. ინსტიტუტი წარმატებით გადაიდა ლიცენზირების და აკრედიტაციის პროცესს. ისწავლებოდა სხვადასხვა სპეციალობა, პრიორიტეტი ენიჭებოდა რეგიონული ეკონომიკისთვის საჭირო კადრების მომზადებას. აღზარდა და მოამზადა ათობით მეცნიერი (კანდიდატი, მაძიებელი და დოქტორი). მრავალი მისი აღზრდილი დღეს მეცნიერებასა და სხვადასხვა სამეურნეო სფეროში მოღვაწეობს. გ. პაპუნძის გამოქვეყნებული აქვს 170-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 20-მდე მონოგრაფია, არის 12 გამოგონების ავტორი. 1990 წლის ოქტომბერში, პირველი მრავალპარტიული არჩევნების დროს, გ. პაპუნძე გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

აქტზე, არის ქედის საპატიო მოქალაქე. დიდი მისი, როგორც აღიარებული მეცნიერის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის, ჭეშმარიტი პატრიოტის, სამაგალითო მოქალაქისა და ახალგაზრდობის გულისხმიერი მასწავლებლის დამსახურება ქვეყნის წინაშე. იგი ყველა ვითარებაში გამოიჩინა განსაკუთრებული ყურადღებით, მეგობრული თანადგომით, დახმარებით. ამიტომაც შეივარა ხალხმა და უდიდესი ავტორიტეტითაც სარგებლობს. ოჯახიც სამაგალითო აქვს - ჰყავს მეუღლე - ლიანა მიქელაძე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

გამოგზავნა რა განსაკუთრებულ სიყვარულს და მადლიერებას, გულითადად ვულოცავთ ბატონ გურამ პაპუნძის დაბადებიდან 80 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს, კეთილდღეობას და ბედნიერებას.

საქართველოს მემკვიდრეობის მემკვიდრეობის საბჭოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მემკვიდრეობის საბჭოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი «აჭარა» ბთავაზობთ ნებისმიერი სახის ღიზინერულ მომსახურებას, ღიზინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. ღიზინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი მარიანა მითაიშვილი	გამომგვამი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემი - შპს «ბანკიტი აჭარა და ალპარია» კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი» მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშვილის ქ. №3	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2 ტელ: 27-13-31 ინფო და დაკავშირება გაზეთი «აჭარის» კომპ. ცენტრი დასაბუჯავ ხელმძღვანელი 4/04/24, 18 წ. სთ.	დირექტორი გამუკა პერიკა
---	---	--	--	---	--



მსახივლის ოვასია - ორკესტრს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიურმა ორკესტრმა, მანესტრო დავით მუჭერიას დირიჟორობით, კლასიკური მუსიკის საღამო გამართა. ეს ორკესტრი ჯერ კიდევ 1978 წელს ოთარ თაქთაქიშვილმა დაარსა, ათი წლის შემდეგ კი მისი მთავარი დირიჟორი დავით მუჭერია გახდა (ორკესტრს შუაგულს, ასევე, მეთორი დირიჟორი მამუკა ალაფიშვილი).

ურთულესი პროგრამა შესთავაზეს მსმენელს - ფონ ვებერის უვერტიურა ოპერიდან „ობერონი“, ბეთჰოვენის უვერტიურა „ეგმონტი“ ფა-მინორი და ბეთჰოვენის სიმფონია №5 დო-მინორი, რომელსაც შესანიშნავად გაართვეს თავი. 60-კაციანი ორკესტრიდან, ნახევარი ადგილობრივი მუსიკოსია, ნახევარიც - თბილისელი და ქუთაისელი. როგორც დავით მუჭერია აღნიშნა, მათ ახარებთ, რომ საღამოზე დასასწრებად ყველა თაობის მსმენელი მოვიდა.

- ჩემი მუსიკოსებით ძალიან კმაყოფილი ვარ, უდიდესი ენერჯეტიკა, მუხტი მოდიოდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი სალაპარაკო ენა მსმენელთან არის მუსიკა და თუ მან ეს ენერჯეტიკა იგრძნო, ეს იგი, ჩვენ გავიმარჯვეთ. სავსე დარბაზი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მსმენელების სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენს ქალაქს მათი სახით ხვალ კიდევ უფრო გემოვნებიანი მსმენელი ეყოლება. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდობა ღირებულ მუსიკაზე იზრდება. მიხარია ისიც, რომ გაზაფხული ასეთი დატვირთვით დავიწყეთ და შევეცდებით, სამომავლოდაც არ გავიცრუოთ იმედი. მსმენელს მოეწონა კონცერტი, თუმცა უკმარისობის გა-

ნცდა ყოველთვის გვაქვს და ეს ასეც უნდა იყოს, რათა შემდეგ კიდევ უკეთ გამოხვიდე. წელს ორკესტრი დატვირთულია როგორც სიმფონიური კონცერტებით, ისე საგანმანათლებლო პროექტებით, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რადგან ურთიერთობა ბავშვებთან, სტუდენტებთან გვაქვს. აპრილის ბოლოს ორკესტრი ისევ წარსდგება ბათუმელი მსმენელის წინაშე, დაუკრავს შუბერტის მერვე სიმფონიას და შუმანის საფორტეპიანო კონცერტს. მსმენელის წინაშე არა-

ჩვეულებრივი პიანისტი თათა ლიჩელი წარსდგება, - გვითხრა დავით მუჭერიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა როგორც მსმენელსა და ორკესტრანტებს, ისე სამუსიკო სკოლის დირექტორ ნინო ჩაიძეს, რომელიც წლებია ორკესტრს უსასყიდლოდ უთმობს საკონცერტო დარბაზს.

- გულწრფელად ვულოცავ ჩემს ქალაქს დღევანდელი კონცერტის ასე არაჩვეულებრივად ჩატარებას. მოვისმინეთ სიმფონიური ორკესტრისთვის დაწერილი შედეგები, საკმაოდ რთული რეპერტუარი, რომელიც დარბაზმა კარგად მიიღო. მსურვალე ტაშში, გულწრფელი ოვაცია რამდენიმე წუთს

გაგრძელდა, - აღნიშნა რევაზ ლაიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნატო ორაგველიძემ.

- შესანიშნავი ორკესტრია, შარშანაც დავესწარი მის კონცერტს. ასე ახლოს ორკესტრთან არასოდეს ვმჯდარვარ, მიველი ორგანიზმი ენერჯით ამეგსო. ძალიან მომეწონა ორკესტრიცა და პროგრამაც, - გვითხრა უკრაინელმა ნატალია პანოვიჩმა.

მაყურებელს არ გამოპარვია, რომ კონცერტი სცენიდან თავიდან ბოლომდე ორკესტრის უცვლელმა „წევრმა“ ცუფო მართამ „მოისმინა“, რომელიც არცერთ რეპეტიციას არ „აცდენს“.



შეხვედრა - ლადო შარაშიძისთან




განტანგ დღონტის სალონური საღამოს მორიგი სტუმარი ბათუმელი მხატვარი ლადო შარაშიძე გახლდათ. ის ცნობილი მხატვრის ლადო შარაშიძის შვილიშვილია, თუმცა უმცროსმა ლადომ თავისი სიტყვა მხატვრობაში დიდი ხანია თქვა. ქეშმარიტმა ბათუმელმა არა მხოლოდ ნიჭიერებით მოხიბლა ყველა, არამედ სიკეთითა და ადამიანურობით

...ბათუმის სამხატვრო სკოლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა და იქიდან მოყოლებული, აქტიურად მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, დიზაინში. გამართა რვა პერსონალური გამოფენა, მათ შორის, ბათუმში, თბილისში, სტამბოლში, გენოვაში, კრემსში, ვილნიუსში. მონაწილეობდა 78 ჯგუფურ გამოფენაში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, კერძოდ, თურქეთში, ბულგარეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, უკრაინაში, ავსტრიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. მისი ნამუშევრები ინახება ეროვნულ მუზეუმსა და 34 ქვეყნის კერძო კოლექციებში.

ბათუმურ შეხვედრას მხატვრის მეგობრები, კოლეგები, ახლობლები ესწრებოდნენ. აღინიშნა, რომ მართალია, ბაბუის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია მასზე, მაგრამ ლადო შარაშიძემ საკუთარი „მე“ დიდი ხანია, წარმოაჩინა. ის ამჟამად ერთ-ერთი ძალიან აქტიური მხატვარია. ლადო შარაშიძე ძალიან უყვართ და აფასებენ. როგორც მისმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობრებმა აღნიშნეს, იგი ისეთი მეგობრული, თბილი, თავისი ქცევებით გამოჩენილი იყო, რომ გულში ჩაიხუტეს და დღემდე ერთად მოდიან.

- ლადოს ძალიან დიდი პატივს ვცემ. ის ჩემთვის ახლობელი ადამიანია. მისი ნამუშევრების სილამაზით სულიერ მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებ. ძალიან გემოვნებიანი მხატვარია. მიხარია, რომ მისი ნახატი მეც მაქვს, - თქვა ქორმაისტერმა ქეთევან მანელიშვილმა.

- მის ნამუშევრებში მეტწილად ქალაქია აღბეჭდილი. მე ქალაქგარეთ ვცხოვრობ. თუ ლადო მესტუმრება, შესანიშნავ ნამუშევრებს შექმნის, რადგან მთელი ქალაქი ხელისგულზე ჩანს. ვთავაზობ, ამოიყვანოს მოსწავლეები და აქედან დანახული ბათუმის პეიზაჟები შექმნან. მხატვრები ჩემთვის ძვირფასი ადამიანები არიან და ყველას სიამოვნებით გუმასპინ-



ეკარანზე ლადო შარაშიძის არაერთი საინტერესო ნამუშევარი ვიხილეთ.



ძლებ, - აღნიშნა აჭარის ჩოხოსანთა თავკაცმა თენგიზ თავდგირიძემ.